ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალი

X წ. ყოველ-კვირეული გაზეთი. X წ.

№ 23 კვირა, 2 ივნისი 1902 წლისა. № 23

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობის შესახებ, მოსაუბრისა — ოპოზიცია და „ცნობის ფურცლის“ სიყალბე, X-სა.— სხვა-და-სხვა ამბავი.—კორესპონდენციები.—ლექსი, ი. ევდოშვილისა.—აბა რა გიკვირს, რი გეცინება, ნატოსია—სიცილი, მით ანდრეევისა.—ქართვ. შ. წ.-კით. გამ. საზ. კრება, ibiq-სა.—საზღვარგარეთ.—რუსეთი.—სამშობლოს ცაზე, რიგოლეტოსი.—ორიოდ. სიტ. ზარკის ყიდ. გაყიდ. შეს.—წერა კითხ. საზ. კრების გამო, უცნობისა.—საქ. ეოქ. მიზ. გამართული წარ. კუთ. parohe-სი.—დ. კოდიაშვილის მრთ ი. გომართელისა.—წერ. რედ. მიმ.—განცხ.

„**კვალის**“ რედაქცია გადავიდა ბარონის ქუჩაზე, სახლი **№ 27**, ბ-ნ მარტიროსოვის შენობაში.

ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში.

II.

ყოველივე კერძო საკუთრება იმას ნიშნავს, რომ ერთი ადამიანი სარგებლობს განსაკუთრებითი უფლებებით. კერძო საკუთრება არსებითათ უარყოფს საზოგადოების წევრთათვის ერთნაირ პირობებს, ერთნაირ უფლებებს. კერძო საკუთრების სრული განვითარება ხდება მაშინ, როცა საზოგადოების ერთ ნაწილში მოგროვილია მთელი საზოგადოებრივი ქონების თუ სიმდიდრის უმეტესი ნაწილი და პირიქით როცა საზოგადოების მეორე ნაწილს ეს სიმდიდრე თანდათან ეცლება ხელიდან. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოგვიდგენენ თანამედროვე განვითარებული ქვეყნები, როგორც, მაგ., ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი; დანარჩენი ქვეყნები და იმათ შორის ჩვენი ქვეყანაც ამავე გზაზე არიან შემდგარი და მეტი თუ ნაკლები სისწრაფით წინ მიიჩქარიან. რაც ითქმის საზოგადოთ კერძო საკუთრებაზე, იგივე უნდა ითქვას მიწის კერძო საკუთრებაზედაც; მაგრამ მიწის კერძო საკუთრებას აქვს ისეთი მხარეები, რომლებსაც მოკლებულია ყოველგვარი სხვა კერძო საკუთრება.

არსებობს ორი დიდი კატეგორია კერძო საკუთრებისა: მოძრავი და უძრავი. მოძრავი საკუთრების გასადიდებლათ, რომ იქიდან მეტი შემოსავალი მიიღოთ, საჭიროა რაიმე ღონისძიების ხმარება, ფულის გაღება, შრომის დახარჯვა. ეს არის აუცილებელი პირობა. პირიქით, უძრავი საკუთრების პატრონს არა თუ არ ესაჭიროება ხელის განძრევა თავის შემოსავალის გასადიდებლათ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ისე ხდება, რომ ამის შესახებ იგი არც კი ფიქრობს. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. ყველამ კარგათ იცის, თუ როგორი გამოუთქმელი სიჩქარით იზდებიან თანამედროვე ქალაქები. ეს მოვლენა იწვევს ერთი მხრით ქალაქების მჭიდროთ დასახლებას და მეორე მხრით იმათ ტერიტორიის გაფართოებას. ამის გამო იზდება ქალაქის მიწების ფასი. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე №-ს ქალაქის საუკეთესო ადგილას სახლი აქვს, რომელიც მას წლიურათ აძლევს 2000 მანეთს წმინდა შემოსავალს. ათი წლის შემდეგ ქალაქის ზრდის გამო სახლის დამქირავებელთა რიცხვი იმატებს, ე. ი. ბინა უფრო მეტ პირს ენდომება; ამიტომ დამქირავებელთა შორის ჩამოვარდება უფრო გამწვავებული მოცილეობა, რასაც ის შედეგი მოყვება, რომ სახლის პატრონი ბინის ფასს ასწევს და 2000 მანეთის მაგივრათ მიიღებს 3000 მანეთს. აშკარაა, რომ უძრავი ქონების პატრონი სარგებლობს ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი განვითარებით; მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ ძალთა შექმნაში, რომლებმაც გამოიწვიეს ქალაქების მცხოვრებთა ზრდა; შემოსავლის მატება ამ შემთხვევაში მას არა თუ არაფერათ არ ულირს, არამედ არც კი იცის, საიდან ან როგორ მოხდა ეს. იგი ხედავს მხოლოთ იმას, რომ მისი სახლის დაქირავება უფრო მეტ პირს სურს და ეს აძლევს მას მიზეზს ქირა მოუმატოს. სახლის მაგიერ ცარიელი მიწა რომ გვქონდა, ამასვე დავინახავდით. ვთქვათ ქალაქის განაპირა ადგილას რომელსამე X-ს ყოვლათ გამოუდეგარი ადგილი აქვს, რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევს პატრონს. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქის ზრდა ამ ადგილს სასარგებლოთ გახდის, რადგანაც ამ შემთხვევაში აუცილებელი შეიქნება იქ დასახლება. და აი მიწა, რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევდა თავის პატრონს, სრულიათ მის უმეცარინოთ, შეიქნება დიდი შემოსავლის წყაროთ. და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიცვალა, წარმოიშვა და განვითარდა მრეწველობა და ალებმიცემობა, რასაც მოყვა ქალაქის განვითარებაც. ამნაირათ საზოგადოებრივ განვითარებას სავსებით იყენებს კერძო პირი, მხოლოთ იმის მეოხებით, რომ მას აქვს მონოპოლია მიწის განსაზღვრულ ნაჭერზე, ე. ი. ეს უკანასკნელი მის კერძო საკუთრებას შეადგენს, რომელსაც ისე მოექცევა, როგორც უბრალო სალირალ ნივთს. ავიღოთ ახლა სხვა მაგალითი. ვთქვათ, ვისმეს შორს და მიუ-

ვალ ადგილას აქვს დიდძალი მამული, რომელიც, რა თქმა უნდა, არავითარ შემოსავალს არ იძლევა. წარმოვიდგინოთ, რომ ამ მამულში აღმოჩდა რაიმე ძვირფასი მადანი, რომლის დამუშავება საჭირო ხდება საზოგადოების სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მაშინვე გამოჩნდებიან მყიდველები ან მეიჯარენი და ეს სრულიათ გამოუდეგარი მამული შეიქნება დიდ-ძალი შემოსავლის წყაროთ. ასევე მოუვა იმ მამულებსაც, რომლებიც ამ მადნებიანი ადგილების მახლობლათ მდებარეობენ. გარდა ამისა ვინ არ იცის, რომ რკინის გზის გაყვანა, რაც საზოგადოებრივი წარმატების პირდაპირი ნაყოფია, ისეთი მიწების შემუშავებას ხდის შესაძლებლათ, რომ ურკინისგზოთ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.

ამ ნაირათ ჩვენ აშკარათ ვხედავთ, რომ ყველა ზევით დასახელებულ შემთხვევებში კერძო პირი ისაკუთრებს იმას, რაც საზოგადოებრივმა განვითარებამ შექმნა და რაც ამის ძალით მხოლოთ საზოგადოებას ეკუთვნის. გამოდის, რომ წინაპრების მთელ თაობათა კულტურული მუშაობა მხოლოთ იმაზე ყოფილა მიმართული, რომ ამის ნაყოფი კერძო პირის სასარგებლო შეიქნეს. ასეთი შედეგი მოაქვს მიწის კერძო საკუთრებას.

„ფულის დახარჯვა—ამბობს ცნობილი ეკონომისტი, რომლის სიტყვებს არა ერთხელ ვიმოწმებთ ჩვენ ამ წერილში,—რაც საჭიროა სამიწათმოქმედო წარმოებისათვის, კისერზე აწევს სულ მთლათ ფერმერს, მეიჯარეს. ასეთი ხარჯი, რომელიც გონიერათ ხდება, მაშასადამე არ იწვევს ნიადაგის სრულიათ გამოფიტვას, როგორც ამას ჩადიოდენ ამერიკაში ქონების ყოფილი პატრონები, აპოხიერებს ნიადაგს და უფრო მეტ გამოსავალს აღებინებს მას... მაგრამ გადის თუ არა იჯარის ვადა, რომელიც ხელშეკრულობაშია დადებული, ნიადაგის გაუმჯობესება, როგორც განუყოფელი მიწისაგან, მიწის მფლობელზე გადადის, როგორც მისი საკუთრება. ამნაირათ მისი შემოსავალი იზრდება. თუ იგი მოინდომებს მიწის გაყიდვას, მისი ფასი მატულობს: იგი ყიდის არა მარტო მიწას, არამედ მიწას, რომელიც გაუმჯობესებულია, ფულს, რომელიც დაბანდებულია მიწაში და რომელიც მას არაფრათ არ უღირს" *). მეორე ადგილს: „მიწის მფლობელნი ამ გზით ღებულობენ არა თუ სარგებელს სხვის თანხაზე, რომელიც მათ არაფრათ არ დაჯდომიათ, არამედ გარდა ამისა ღებულობენ კიდევ სრულებით ტყუილათ სხვის თანხას" **). ამნაირათ მიწის კერძო საკუთრება ექვემდებარება სრულებით განსაკუთრებით კანონებს. მიწის კერძო საკუთრება ყველაზე უფრო აშკარათ ყოფს იმ წინაალმდეგობას, რომელიც არსებობს თანამედროვე კაპიტალისტურ წე·წყობილებაში. იგი იმავე დროს არა თუ ცხადათ ყოფს ამ წესწყობილების უვარგისობას და შეუსაბამობას, არამედ ნათლათ გვიმტკიცებს მისი დარღვევის აუცილებლობას. —გადავიდეთ ახლა ამ საგნის სხვა მხარეებზე.

დღეს ყველას ენაზე აკერია: მიწის ფასი, ეს მიწა ამდენათ და ამდენათ ღირს და სხვ. ახლა ჩვენ ვიკითხოთ: განა შეიძლება, რომ მიწას ფასი ქონდეს? ფასი თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აქვს მხოლოთ შრომის ნაყოფს. ვინაიდან მიწა შრომის ნაყოფი არ არის, მას ფასი არ აქვს. ის, რასაც ჩვენ მიწის ფასს ვუწოდებთ, მიწის ზედმეკეცილი შემოსავალია (რენტა). „ის გარემოება, რომ ზედმეკეცილი მიწის შემოსავალი გამოიხატება მიწის ფასში ან მიწის ღირებულებაში, და მიწა ამისთვის იყიდება, როგორც თითოეული სხვა საქონელი, ზოგიერთ დამცველთ მიწის საკუთრების გასამართლებელ საბუთათ მიაჩნიათ, ვინაიდან მყიდველი აძლევს იმაში ღირებულებას, როგორც სხვა რომელიმე საქონელში, და ამ საშუალებით მიწის საკუთრების უმეტესი ნაწილი გადავიდა სხვის ხელში. ამნაირათ მონობის გამართლებაც შეიძლებოდა, ვინაიდან მიწის პატრონისათვის, რომელმაც მისცა მიწაში ნაღდი ფული, იმის შრომისაგან შემოსავალი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც სარგებელი იმ კაპიტალზე, რომელიც აში მიცემულია" *). მიწის შემოსავალი მატულობს იმდენათ რამდენათ წინ მიდის საზოგადოებრივი განვითარება; აქ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ მიწის სხვილ და წვრილ საკუთრებას. წვრილ მესაკუთრეობას არა აქვს მომავალი. „მევახშეობამ იგი უნდა გააქროს. მიწის საყიდელათ ფულის გამოღება ხელიდან აცლის მეურნეს მიწის გაუმჯობესების საშუალებას". გარდა ამისა შინამრეწველობის გაქრობა მსხვილი მრეწველობის გავლენით წვრილ მესაკუთრეობას ასუსტებს და შეუძლებლათ ხდის მის არსებობას.

ამ საზოგადო მოსაზრებათა შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ მთავარ საგანზე.

მოსაუბრე.

(შემდეგი იქნება)

ოპოზიცია და „ცნობის ფურცლის" სიყალბე.

ყოველი დაწესებულების გარშემო თავს იჩენს ორი მკაფიოთ გამოხატული მიმდინარეობა. ერთი იცავს მას, ამართლებს მის მოქმედებას და მიმართულებას, მეორე არჩევს და იწუნებს ამავე მოქმედებას. მარა ამ ორ მკაფიოთ გამოხატულ მიმართულებათა შორის ყოველთვის ჩაჩრილია მესამე, რომელიც იქითაცაა და აქითაც, რომელიც კიდეც იწონებს და კიდეც იწუნებს, ბოლოს კი არ იცის, რა თქვას და რა ისურვოს. სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია ჩვენი „ცნობის ფურცელი" თავისი „მოღვაწეებით". იმას არ უნდა მიემხროს „იევრიელთა" მოქმედებას, ძალიან სურს ის დაიწუნოს, მარა რაღა აირჩიოს? რა მოისურვოს? როგორ აჩვენოს თავის მკითხველებს, რომ ის სხვაა და იმავე დროს ეს სხვაობა, ეს თავისებურობა დაგვანახვოს.

აი, მუდმივ ამის ცდაშია ჩვენი გაზეთი, მარა დღემდი ჩვენ მისგან ვერაფერი გარკვეული, ვერაფერი მიმზიდველი, ვერაფერი მტკიცე ვერ დავინახეთ.

პირიქით წინაალმდეგს კარგათ ვხედავთ. შვენიერათ და გვიხატა ამ გაზეთმა თავისი თავი წერა-კითხვის საზოგადოები შესახებ მოქმედებაში.

მოგეხსენებათ, შარშან ამ საზოგადოების გამგეობის არჩევნები იყო. „ფურცელი" „ოპოზიციაში" იყო, რადგან მაში გამგეობაში მას არავინ ყავდა. მერე როგორი იყო ეს ოპოზიცია? წინაალმდეგობა და არც წინაალმდეგობა. ბოლოს არჩევნების ტაქტიკაში სავსებით გამოირკვა, რომ ამ გაზეთს გამგეობის წინაალმდეგ კი არაფერი ქონია, მისი მოქმედების გზ კი არ უწყევია, არა, მას თურმე მხოლოთ გამგეობის რამდენიმე წევრი არ მოწონებია, ხოლო გამგეობის სულის ჩამდგმელ სასურველი ყოფილა. აი აქ გამოჩნდა გაზეთის თეორიული სიყალბე. და რა საკვირველია, თეორიულ სიყალბეს, ანუ, უკე ვთქვათ, არარაობას, მოყვა პრაქტიკული არარაობაც. ჩვენ ვე ვხედავთ ამ გაზეთის მომხრეთა მოქმედებას თვით გამგეობაში თუმცა იქ მათ სამი ადგილი მაინც ეკუთვნით, ვერ ვხედავ მათ საზოგადო კრებაზედაც. არც ერთი წინადადება, არც ერთი საფუძვლიანი გინდ უსაფუძვლო კრიტიკული შენიშვნა.

და ყველა ამის შემდეგ ახალი გაზეთის პუბლიცისტებ იმდენი უტიფრობა აქვთ, რომ იმათაც, ვინც მოისურვებს უფრო გულმოდგინეთ მუშაობა, შეძლების დაგვარათ თავის აზრები თუ არ გატარება, მაინც გამოთქმა, უსუსური უწოდონ. კარგი, ბატონო, როცა თქვენ წინაალმდეგ იბრძვიან სიმართლით როცა თქვენ აზრს სისწორით დაასახელებენ და შემდეგ გაარ

*) იქვე, 515; **) იქვე (40.

ჩვენ, დაიწუნებენ. არა, გაზეთმა ეს არ ისურვა, იმან თავიდან ბოლომდე გადამახინჯა ოპოზიციის წევრების მოხსენება ოა მხოლოთ ამ გადამახინჯებაზე ააგო თავისი ყალბი კრიტიკა.

ოპოზიცია ამბობდა: არაა საჭირო მდივნის მეორე თანაძემწე, რადგან საზოგადოებას იმდენი საქმე არ აქვს. „ცნ. ფ." კვეუბნება: ოპოზიციამ თქვა: ბუჰგალტერი არაა საჭიროვ ეი მაგალითათ, თუ საზოგადოების მაღაზიაში ერთი შაურიანი წიგნი იყიდეს, ეს შაური ოთხ დავთარში უნდა გაატარონ. თუ თქვენ თქვით, არაა საჭირო ოთხი დავთარიო ნუ თუ ეს ბუჰგალტერიის უარყოფაა? ან და თუ თქვენ თქვით, რომ საჭიროა საზოგადოების მოსამსახურე პირებს შუა შრომა თანასწორათ იყოს განაწილებული, თუ ერთი წელებზე ფეხს იდგამს, მეორე თარიალალოს არ უნდა იძახოდესო, ესეც კოდვაა? შემდეგ ეიკითხოთ. ვინ თქვა მდივანს ჯამაგირი მოუკლოთო? მას ეძლევა შტატით 900 მ. და განა ვინმემ გაბაცხადა დააკელით ამ ცხრაას მანეთსო? ჩვენ მხოლოთ ვითხოვდით მოსპობილიყო ეგრეთ წოდებული დივიდენდი, რომლის არსებობის გამართლება არც ზნეობრივათ, არც პრაქტიკულათ არ შეიძლება. თუ იტყვით, მდივანი შრომობსო, მასწავლებლებმა რაღა დაიშავეს? განა ისინი ვინმეზე ნაკლებს შრომობენ? თუ რამე ჯამაგირის გარდა კიდევ გვაქვს, არ უნდა გაუნაწილოთ ჩვენ მოსამსახურე პირებს? და აი, ეს თანასწორი განაწილება იმისა, რაც დღეს ერთისთვის ურგუნებიათ თუმცა მეორეს უფრო მეტი ზნეობრივი უფლება აქვს, განაწილება, რომლის ძალით სულ ყველა შრომელს თავისი შედარებითი ხვედრიარ აკლდება, უსაფუძვლო ყოფილა. როგორც ჩანს, მაგარ საფუ ძველზე დგას ჩვენი „ცნობის ფურცელი".

გაზეთი შენიშნავს: რევიზორის შესახებ ყოველ წელიწადს არის ლაპარაკი კრებაზეო. და სწორეთ ასედაც უნდა იყოს. ამით კრება ყოველწლივ ახსენებს გამგეობას, რომ ის არაა კმაყოფილი მისი თვალ-ყურით, ვერ უჯერის მის რევიზიას, რის წინააღმდეგ, მე მგონია, თვით გამგეობაც ვერაფერს იტყვის. კრებას იმედი მაინც აქვს ამ ყოველ წლივ გახსენებით ეგების ცოტაოდნათ გამოვაფხიზლო გამგეობა და მეტის დაკვირვებით მოკიდოს ხელი თავის საქმესო. მარა აქაც სიმართლის გადახვევა დაჭირდა გაზეთს. ჩვენ ვამბობდით რევიზორათ საშვალო განათლების კაცია საჭირო და ცხრა ასი მანეთიც საკმაო იქნება ჯამაგირათო „ცნობის ფურცელს" კი 480 მ. გაუგონია. ახირებული სმენა გქონიათ, ბატონებო; ეს ხომ თქვენი თავის აბუჩათ აგდებაა. რაც არ გაგიგონიათ და არც წაგიკითხავთ, იმას არჩევთ იწუნებთ. ვგონებ, შორს ვერ წახვალთ ამ გზით.

ყველაზე უფრო არ მოსწონებია „ცნობის ფურცელს" ერთი ოპოზიციის წევრთაგანის წინადადება დათხოვნილ მასწავლებლის შესახებ. მაგრამ აქაც სანამ მოწინააღმდეგე აზრს გაარჩევდა, გადაუმახინჯებია და მხოლოთ შემდეგ დაუწყია მისი კრიტიკა. რა ადვილი გზაა?! ოპოზიცია ამბობდა: მიეცეს იმ დათხოვნილ მასწავლებელს, რომელიც შეურაცყოფილათ თვლის თავის თავს, იმართლოს თავი საზოგადოების წინაშე, თუ ის მატერიალურათ დაისჯება ზნეობრივათ გასვრილი ნუ წავალ. რა არის აქ ისეთი ახირებული და გაუგონებელი, რომ ცის ქვეშეთშიც ალარ მოიპოვებოდეს ამ ნაირი ამბავი? განა ამაზე ელემენტარული უფლება შეიძლება: უდანაშაულოთ დათხოვნილ კაცს ნება მიეცეს თავი იმართლოს? კარგი, თუ გნებავთ, ვთქვათ, რომ პრაკტიკულათ დღევანდელ პირობებში ეს წინადადება უხერხულია. ნუ თუ ის ამით თავის მნიშვნელობას კარგავს!? ვისაც შეუძლია დააფასოს ამა თუ იმ წინადადების მნიშვნელობა, უმეტესათ ისეთი წინადადების, რომელიც შეიცავს გამგეობის მოქმედების თვითნებობის შეზღუდვას, დაგვეთანხმება, რომ—არა. ჩვენც ამ აზრზე ვართ. გამგეობას აქვს უფლება, რომლითაც ის ცუდათ სარგებლობს. ის დაუკვირვებლათ, ხშირათ სრულიათ უსაფუძვლოდ [illegible] ვისზე ზრუნვა მის უწმინდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს. და ნუ თუ ასეთი თვითნებობა, ასეთი სხვისი პიროვნების და ღირსების აბუჩათ აგდება არ უნდა შეიზღუდოს? და აი სწორეთ ამ წინადადებაში ჩვენ ვხედავთ გამგეობის გაფრთხილებას. დაუდევრობა, დაუზოგველობა უკიდურესობამდე მიღწეული გამგეობის მხრით იწვევს უნდობლობას კრების მხრივ და ეს უნდობლობა, რასაკვირველია, ყველაზე უწინ თავს იჩენს ოპოზიციაში. ის თავის წინადადებით აფრთხილებს გამგეობას, თუ აქამდი თავისუფლათ გატყორცნილი ისეთ პირებს, რომელნიც შენ არ მოგწონდა, ღღეის იქით იცოდე, რომ ასეთ მოქმედებას დამფასებელი ეყოლება და არ შეგარჩენს თვითნებობასო. ასეთია ოპოზიციის წინადადების პრინციპიალური მნიშვნელობა და ამის უარყოფა, გარდა „ცნ. ფ.", არავის შეუძლია. დასასრულ უნდა შევნიშნოთ ერთი რამ. ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი მასწავლებლების სიღარიბეზე, სულ ყველა ყურს აცქვეტს, ეს წმიდა საქმეა, საჭიროა ვიფიქროთო, მარა როცა ამ ფიქრების განხორციელებაზე ჩამოაგდებთ ლაპარაკს, მაშინვე შეგაჩერებენ, დაიცადეთ, თუ ღღემდის შიოდათ, აწიც მოითმენენ და მოვა დრო, როცა მათ გავიხსენებთო. ასეთია ჩვეულებრივი მიმაძინებელი ლათაიები. უკეთესია სულ არ დახარჯოთ ასეთი სიტყვები, რადგან მათ ფასი დიდი ხანია დაკარგეს, დიდი ხანია დაფასდა ბურჟუაზიული ნანინას ღირსება.

X.

სხვა-და-სხვა ამბები.

ტფილისის ქალაქის გამგეობას მაისის პირველ რიცხვიდან 15-დე ქალაქის დასაფასებელ გადასახადისა შემოუვიდა სულ 173,004 მან. 74 კაპ.; ამავე ხნის განმავლობაში გამგეობას შარშან შემოუვიდა 166,474 მან.

ტფილისში, „კავკაზ"-ის სიტყვით, რამდენიმე კაპიტალისტი აარსებს აქციონერთა ამხანაგობას, რომელსაც საგნათ აქვთ ქალაქის განაპირას, ვერაზე, ააშენონ იაფ-ფასიანი სადგომებები. ამ ახალი ამხანაგობის წესდების შედგენას უკვე შეუდგენ, რის შემდეგაც ამხანაგობის წევრნი მიმართავენ შუამდგომლობით, სადაც ჯერ არს.

განჯის გუბერნიაში ახლათ დაყვეს და მოაწყვეს 30 სამოსახლო ადგილი რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულთათვის.

ქ. გუმბრში 1-ლ მაისადან დაიწყო მოქმედება საქალაქო ბანკმა. პირველ ხანებში საწარმოებელი თანხა 13 ათასი მანეთია.

გუმბრში მომავალ სექტემბრიდან გაიხსნება საკომერციო სასწავლებელი; დირექტორათ აურჩევიათ ადესის საკომერციო სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ნემიროვსკი.

თფილისის და ბაქოს ურთიერთ კრედიტის საზოგადოებათ, თანახმათ მათის წესდებისა, 1901 წლის წმინდა მოგებიდან კავკასიაში ხალხის განათლების საჭიროებისთვის გადადეს—პირველმა 4,057 მან. 14 კ. და მეორემ—1241 მან. 60 კაპ. ეს ფული ასე უნდა გმნაწილდეს: წმ. ნინოს სასწავლებლებს: თფილისისას—2,407 მან. 14 კაპ., განჯისას—500 მან., თე-

ლავისას—500 მან., ბაქოსას—1241 მან. 60 კაპ. თემირ-ხან-შურის ქალთა გიმნაზიას—450 მან. და ქუთაისის უფასო საქალებო შკოლას—200 მანეთი.

პროფესორმა ვ. მ. პეტრიაშვილმა გამოუზავნა ქუთაისს მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა იმ ქიმიურ ლაბორატორიისა, რომლის გახსნასაც ჰფიქრობენ ქალაქ ქუთაისში. ეს ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგია:

I. ყოველ წლიური ხარჯი: რეაქტივებისა და ხელ საწყოს შეძენა 1000 მ., განათება და გათბობა 500 მ. მოსამსახურეების ჯამაგირი 480 მ., საკანცელარიო ნივთების შეძენა—120 მ., ჟურნალები და წიგნები—300 მ., მიწერ-მოწერის გამგეს (письмоводитель)—600 მ., ორ ლაბორანტს (თითოს 1200 მ.)—2400 მ., უფროს ლაბორანტს—1800 მ., მართველს—3000 მ., სულ—10,000 მანათი.

II. ერთ დროული ხარჯი, რომელიც დასჭირდება ერთ-ერთ ხარისხის ლაბორატორიას (სამი ხარისხია ნაჩვენები):

	I ხარისხი,	II ხარ.	III ხარ.
შეშეულობა და ფასფორი . .	2400 მ.	1500 მ.	1000 მ.
მოწყობილება გამოკვლევებისათვის.	3700 მ.	2100 მ.	1300 მ.
რეაქტივები	6700 მ.	4100 მ.	2000 მ.
წიგნთ-საცავი . -	1500 მ.	1000 მ.	700 მ.
ავეჯი	1800 მ.	1400 მ.	900 მ.
წყალი და გაზი	1000 მ.	1000 მ.	1000 მ.
ფრანტი და ბაჟი	1500 მ.	1100 მ.	900 მ.
სულ	20,600 მ.	13,700 მ.	8,800 მ.

ამას დასძენს ბ. პეტრიაშვილი, რომ პირველათ შეიძლება, თუ ნივთიერი საშვალება ნებას არ მისცემს ქალაქს, გახსნას მესამე ხარისხის ლაბორატორია და შემდეგ საშვალების დაგვარათ გაფართოვდეს. ამასთან ისიც შეიძლება, რომ ამგვარათ შემცირდეს ყოველწლიური ხარჯიო:

რეაქტივები და ხელსაწყო	500 მ,
განათება და გათბობა	500 მ.
მოსამსახურეები	240 მ.
საკანცელარიო ნივთები	100 მ.
ჟურნალები და წიგნები	160 მ.
ორი ლაბორანტის ჯამაგირი	2400 მ.
მართველის ჯამაგირი	3000 მ.
სულ	6,900 მ.

ჩვენ ამას წინათ შეძლება გვქონდა დაგვეთვალიერებია ერთი ფრიად სიმპატიური დაწესებულება. ესაა—ქართველ ქალთა სამკერვალო. როგორც ეტყობა, საქმის ხელმძღვანელნი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ უკეთ მოაწყონ ის. გარდა ჭრა-კერვისა მოწაფენი წარჩინებით სწავლობენ წერა-კითხვას და გალობას. სწორეთ სასიამოვნოა, როცა უცქერით ჩვეულებრივ შკოლების გარეშე დარჩენილ ბავშვებს ტკბილათ მოღიღინეთ თავის სამუშაოზე. დღეს სამკერვალოში მოწაფეთა ტევა არ არის.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი: Г. М. Тумановъ. Замѣтки городскомъ самоуправленіи. წიგნი შეიცავს 213 გვ. და ღირს სამ აბაზათ.

ს. კასპი. (გორის მაზრა). აქ ერთი უბედურება მოხდა ამ დღეებში. თავადნი ამილახვარნი და დავანაძე კასპის მახლობლათ მდებარე სოფ. კეხაში წაიდენ და რაღაც მიზეზისა გამო სოფლელების საქონელი დაიტაცეს, ისენი გამოუდგენ ზოგმა თავადმა საქონელს თავი დაანება და [illegible] მაგრამ ორი ამილახვარი და დავანაძე დაიჭირეს გლეხებმა [illegible] სცემეს. დავანაძე იქვე მოკვდა, ხოლო ორი ამილახვარი [illegible] ცხალ-მკვდრები მოიყვანეს სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორესპონდენცია.

ს. ზეგანი. (ქუთაისის მაზრა). მდგელმა იღარიონ გორ[illegible]ძემ, რომელიც ქვედა ზეგნის წმიდა გიორგის ეკლესიაზე არის ჩემებელი მდგდათ, გამოუცხადა მრევლს, რომ ეკლესია ძვირფ[illegible] შეიძინეთ და ეხლა იზრუნეთ შოდის გაკეთებისათვისო. ხალხმ[illegible] ბა-ეოფლობა გამოაცხადა. იოდეს შოდისათვის მზა ხის შენ[illegible] მოიტანეს, ააგეს ეკლესიის კალავნში და მოაწყეს ეველაფერით, შოდას სწირდებოდა, შემდეგ მოიწვიეს მასწავლებლათ ქუთა[illegible] სემინარიაში კურს დამთავრებული მ. ჩიქვინიძე. ჯამაგირი უნდ[illegible] ლიათ თითო მოწაფეს ხუთი მანეთი და სოფელს ხარჯი უნდ[illegible] ცა, მხოლოთ ოთახი კი შოდაში ქონდა საკუთარი. პირველათ [illegible] ვდა რომ დაიწყეს, შოდაში იყო სულ ორმოცდა ათი მოწაფე, [illegible] რომ წლის განვლამდე მოწაფენი ბევრი მოაკლდათ, რადგან ზო[illegible] მშობლებმა ფული ვერ გადიხადეს სიღარიბის გამო და ზოგმა მ[illegible] ლებმა კი ვერ მოისაკლისეს ოთავანთი შეკადენა წინ. როგორც [illegible] წაფენი მოაკლდათ, ბ-ნმა მასწავლებელმა გულმოდგინეობას უს[illegible] და დღეს შოდაში არის ოცდა რვა მოწაფე, რომელნიც ძალიან [illegible] წადინებულნი არიან სწავლისა, მაგრამ რიგიანი მასწავლებელი [illegible] ეკვო, რომ ეოველ დღე მეცადინობაში იყვენ.

ვარლამ გორგოძე

სოფ. აცანა. აცანისთანა ბატარა სოფლიდან ოზურგეთ[illegible] მაზრაში მეორეც არ არის. სულ 220 მოსახლეა, მდებარეობ[illegible] მთა-გორიანია. ირგვლივ მაღალი მთებით შემოზღუდულია. მხოლ[illegible] ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით წედება ეს გორები[illegible] სამი საჟენის სიგანეზე და აი ამ ადგილებზეა გაკეთ[illegible] გზები, რითაც უერთდება მეზობელ სოფლებს. დახშეთ ეს ვ[illegible] გზები, და აი სატუსაღო, თითქოს ხელოვნურათ, მაღალი გორ[illegible] შემოზღუდული. მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენს გლეხობა. [illegible] რამდენიმე მოსახლე აზნაურნიც. აქ-ური აზნაური თით[illegible] არავერით არ განირჩევა გლეხისაგან, ის ისეთივე მიჯაჭულია თ[illegible] და სახნისზე, როგორც გლეხი. მას არავითარი უპირატესობ[illegible] ეკუთვნის დღეს ეკონომიურ ძალაში, აქ გვრავითარ ტრადიც[illegible] ძალის მოძრაობას, ვერავითარ წოდებრივ განხეთქილებას ვერ სედ[illegible] ჭირში და ლხინში ეს ორი მოძმე მჭიდროთ დაკავშირებ[illegible] ურთიერთ შორის. რასაკვირველია, ხან და ხან მოხდება, რ[illegible] ეოველთვის და ეოველგან, რადაც პირადი ანგარიშია და ინტერ[illegible] ამ წოდების პირი იმა წოდების პირს შეეტაკება, მაგრამ ეს [illegible] რაში ჩასაგდები არაა, რადგანაც ეს სულ კერძო და არავი[illegible] ტრადიციული ხასიათი არ აქვს.

ათი წლის წინათ ეს სოფელი მეტის-მეტ წესარ და [illegible] დობიან საზოგადოებათ ითვლებოდა. მაშინ როდესაც სხვა მის[illegible] ზობელ სოფელს „ეგზეკუტია“ არბევდა და ქურდ-ავაზაკებ[illegible] ეოფორიაქებული იყო, აცანა უდარდელათ ეწეოდა ცხოვრების [illegible] ისე კაივლიდა სამი-ოთხი წელი, რომ აქ მაზრის უფროსი ერ[illegible] ლაც არ შემოვლიდა. აცანლები მეტათ მშრომელი ხალხი [illegible] მათ ფიქრადაც არ მოსვლია კერის მიტოვება და დღიურ ფ[illegible] ძალ-ღონის გაყიდვა. უმთავრესი მისი საქმეობა იყო ვანა. მორ[illegible] და თუ არა თესვას, მაშინვე ჭურჭლის თიხის ზიდვას შეუდგებ[illegible] და თითქმის დღიან ღამიანათ სხვა და სხვა ჭურჭელს აშენ[illegible] მოვიდოდა მარგლის დრო, ის ისევ ეანაში მიდიოდა, შემდ[illegible] ისევ ჭურჭლის შენებას უბრუნდებოდა. ასე ამ რიგათ, ცოტათ, ბევრათ, მაგ მატერიალური წელში გაიმართა. თუმცა ალ[illegible] რიალულათ ცოტათ თუ ბევრათ წელში გაიმართა, მაგრამ ს[illegible]

ერთ ბინებრივათ სოფლათ მიიძინა. არავითარი ხაზოგადო საქმე, არავითარი ბინებრივი ზრდა, გარდ ერთი მკრთალი სამინისტრო სკოლისა ამისთვის არ არსებობდა. ყველა საზოგადო საქმე, ესა თუ ისა საკეთილდღეო კითხვები საგანებით დამოკიდებული იყო მამასახლისზე და მწერალზე. მწერალ-მამასახლისი კი მოგვხსენებათ რით იქნებოდა გატაცებული! ამ რიგათ ეს საზოგადოება თვალსაჩინოთ ჩამორჩა ბევრ სხვა საზოგადოებას სწავლა განათლების მხრივ. ერთად-ერთი მიზანი მაშინდელი იყო, ბევრი ფულის შოვა და მეტ % გასესხება- აი სწორეთ ამ დროს შეიქმნა დღევანდელი რამდენიმე ათ შაურში % გასუქებული ვაჭ-ბატონები... შეიცვალა დრო და ჟამი და აქაც ძირითადი ცვლილება მოხდა. აკეთის საზოგადოებას ავაზაკთა სტუმართ მოყვარეობამ მთელი წლობით „ეკზეკუციაᲐ“ უწყალობა, იქაურმა გაძატაკებულმა აზნაურებმა და რამოენიმე გლეხებმა ჯურჯლის საშენებელ მიწის ბაჟი აუწიეს და მით ატანელს ჯურჯლეულობის მოსაგები შაგზე გაუფეს, ამას კიდევ ბუნების მტრობა დაერთო და გურიაში დვინის მოსავალმა იკლო, რამაც ატანელის ერთად ერთი უმთავრესი ცხოვრების ღერძი-ჯურჯლის კეთება სრულიათ გაანადგურა, რადგან დვინო არსათ არის, ქვევრიც არავის სჭირია. ამან ტოტა შეაშფოთა ატანელი და მთელი თავისი ძალა ანაში გაძატანა, მაგრამ აქაც ადგილის მეპატრონემ მიწის ფასს უმატა და თან მოსავალმაც იკლო, ასე რომ ფულის გასესხებას ჩვეული ატანელი დღეს თვით ჩავარდა სხვის კალთებში. ყველა ამან გამოაწვია მთელი საზოგადოების გაძატაკება და აი ატანელიც ადაიძრა სოფლიდან, მოშორდა შეჩვეულ კერას და ერთ მშვენიერ დღეს თითქმის ნახევარი მეტმა ატანელმა, ვიდაც გაქნილი „ბრიგადჩიკის“ წინამძღოლობით, გაემართა ნოვოროსიისკში, მოიჯარადრე ილ. კალანდაძესთან. თავის თავათ ცხადია, რომ კერას უეცრათ მოგლეჯილი ადამიანი, ძლიერ უხერხულათ გრძნობდა თავს უცხო ადგილში, ისედაც მიმქრალი თვითცნობიერება ეხლა ერთი ორათ მიიბეჟიტა. უპატრონო მუშებს გაუჩნდა პატრონათ ვიდაც გაქნილი ხონელი „აბლაკატი“, გამოართვა ყველას წერილობითი რწმენება და თვითონ კი პატიოსანი სიტყვით შეპირდა ასაც ავიღებ კალანდაძისაგან ორ წილს გამოგიგზავნიო. რით გათავდა იქ საქმე, ადარ ვიცით, მხოლოთ ეს კი ვიცით რომ გუბერატორმა ის ფულები უკან მოითხოვა და კიდევაც გაეგზავნა, აბლაკატისაგან დღესაც კაპეიკი არ მიუღიათ. ერთმა მუშათაგანმა იოხუნა, როგორ უნდა მოგეგო, ხიდისთავლთან საქმე გვქონდა და ხონელი ადვაკატი გვეავდა... სწორეთ ამ დროს ჩნდება ნუთიოდ ერნი და თავიანთი სურვილით თუ მიბაძვით ერევა საზოგადო საქმის მოწესრიგებაში. დგება პატარა წრე და მეცადინეობს ერთ ადასიანი სკოლის ორ კლასიანათ გადაკეთებას და კიდევაც აღწევს იზანს. სკოლის გადაკეთებას საამკითხველოს დაარსებაც მოყვა. აქ უნდა გამოვტეხე, რომ საამკითხველოს დაარსება ნამდვილათ წინაძულობით მოხდა. არც ერთ დამაარსებელთაგანს ის არ უფიქრია, რომ საამკითხველოს არსებობისთვის საჭირო ნიადაგის მომზადება, კითხველთა წრის შექმნა. და კიდევაც იმიტომ მოხდა, რომ არდა შვიდი რვა კაცისა არავინ არ თანუგრძნობს და არც მკითხველი ეყვნ. ერთი სიტყვით სრულიათ წინააღმდეგ სურვილისა მოხდა. მართალია დღეს საამკითხველოს აქვს საკუთარი შენობა, 700—800-მდე კარგი-გვარიანი წიგნები, რამდენიმე ჟურნალ-გაზეთები, აგრამ წამკითხავი კი საამწუხაროთ ერთი თუ ორი. ერთი უმთავრესი მიზეზი მკითხველთა უყოლობისა არის დიდი უმეტესობის წერა-კითხვის უცოდინარობა. როგორც ზევით ვთქვით, ატანელი ძალიან ატას ზრუნავდა სწავლა-განათლებაზე და კიდევ იმიტომ არის ოტ ერთი გამოერევა, რომ წერა-კითხვა იცოდეს ხეირიანათ. ასეთ ალბათ ერთათ-ერთი საამკურნალო რეტეპტი საკვირაო სკოლაა. საკვირაო სკოლას ძალიან ბევრი მოსწავლე ეყოლება და ნაყოფსაც ალიტანს, იმედი გვაქვს ადგილობრივი მასწავლებლები იკისრებენ სკოლის დაარსებას და მით დიდ საამსახურს გაუწევენ ადგილობრივ მკვიდრთ. წელს კიდევ, როგორც იქნა ვეღისეთ განაჩენის შედეგენას საქალებო სკოლის შესახებ. სკოლის შენობა, საამასწავლო ნივთები- მზათაა თითქმის. მასწავლებლის ჯამაგირი საზინამ შეგვიერდა. ასე რომ იმედი გვაქვს მომავალ ენკენისთვის [illegible] ეება დღეს ერთათ ერთი საზრუნავი ატანელებისა [illegible] მომავალი გზის გაკეთება ისე, რომ ეტლით მიმოსვლა შეიძლებოდეს. ეს გზა მეტათ საჭიროა, როგორც ატანელებისათვის, ისე ქიმიოლებისთვისაც.

გრ. ურატაძე.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. როგორც მოგეხსენებათ, არა ერთხელ დაწერილა ჭიათურის მრეწველობის წარმოების შესახებ. აგერ ორი წელიწადი გადის, რომ შავი ქვის მრეწველები კრიზისიდან ვერ გამოდიან. თუმცა ბევრნაირი საშუალებას მიმართეს აქაურმა მრეწველებმა, მაგრამ ამაოთ. ევროპის ბირჟებზე უფრო მაგრა დგანან შეიდველები შავი ქვის. სინდიკატის დაარსებამ ოდნავათაც ვერ შეცვალა შავი ქვის ფასები,არა თუ ევროპის ბირჟებზე, არამედ ჭიათურაშიდაც. შეეძლოთ კი მეთაურებს იმ ფულებით, რაც მრეწველებმა მიიღეს ავანსათ, თუ კიდევ უნდა მიიღონ, გერმანელი კაპიტალისტებიდან, საქმე გაეუმჯობესებინათ, მაგრამ აქაც უთავბოლობამ, კინალობამ და უსაქმობამ იჩინა თავი, რამაც სინდიკატის საქმე ძლიერ შეფერხა. ჩვენში მოგეხსენებათ ამხანაგობები რომ შედგება, მხოლოთ სიტყვით არიან ამხანაგთ და არა საქმით. ამხანაგობის უმეტესი წევრთაგანი სხვა ბირებზე ეიდის თავის შავ ქვას ჩვეულებრივათ. რომ შეეკითხო, ამას რისთვის ჩადიხართქო, გიპასუხებს: სხვაგან მეტს ვიღებ ფასსო ანუ მიაქვს უფრო ნაკლები დირსების შავი ქვა და სხვა. ასე რომ ჩვენ მრეწველებს ჯერ-ჯერობით ის გამჭრიახობა და ცოდნა არა აქვთ, რაც ესაჭიროება ამხანაგობის თანამგრძნობლებს და ამნაირი მათი მოქმედებით, როგორც რამოდენიმე მრეწველობის ამხანაგობა გამოესადმა ჭიათურას, ისევე დაემართება ხსენებულ სინდიკატს, თუ სხვა ნაირი საუმჯობესო ზომები არ შემოიღეს ამხანაგობის მართველებმა. დღეს შავი ქვის ფასები არის შვიდი კაპეიკიან შვიდ ნახევრამდი, მაგრამ მრეწველებს თვითონ უჯდებათ ქვა ამ ფასებში.ვინაიდან დღეს დღეობით თუ მოემატა და ემატება ხარჯები მადნების გვირაბებში, თორემ არ აკლდება. მადნების გვირაბები ძლიერ დაშორდა და ხეებით გამაგრებას თხოულობს ერთობ ბევრს, რაიცა ჭიათურაში მეტათ ძვირი ჯდება. ამასთან შარშანდელი ხრაკტიკული კურს დამთავრებულნი უმაწვილებიც ვერ იქცევიან მრეწველობის სასიამოვნოთ. თუ დღეს ამგვარი კურს დამთავრებული პასუხის მგებელი მწარმოებელს მადანში არა ეკვს, უამისოთ მუშაობის ნებას არ აძლევენ სამთო ინჟინერები,ამ ვაჟბატონებმაც ამ შემთხვევით ისარგებლეს და თითო ნებართვაზე ანუ თითო ნაკვეთი შავ ქვიან ადგილზე, რომელსაც შეუძლია ხუთი აიღოს, ეძლევა ოცი მანეთიდან სამ თუმნამდის, ამგვარათ თვეში მწარმოებელი იხდის უბრალო პასუხის მგებელზე თორმეტი თუმნიდან თუთხმეტ თუმნამდის და ზოგ ზოგი ვაჟბატონები ხუთი ნაკვეთი ადგილს გარდ კიდევ მოხერხებით სიადუმლოთ იღებს მრეწველისაგან, რომ სამთო ინჟინერმა არ გაუგოს და ამგვარათ ჩვენი ნორჩი „გეოლოგები“ გამედიდურდენ ისე რომ მთელ დღეს მადნები რომ ათვალიერონ, ერთს ვერ შეხვდებიან წამლათ, რომ ასრულებდეს თავის მოვალეობას სინდისიერათ: ამასთანავე უმეტესობა ცოდნაზე მწერალთ კახლავთ. სრულებით მას არ გაეგება მუშაობის წესი, შავი ქვის გვირაბებისა და გეგმის შედგენა ხომ არც ერთმა არ იცის ახალ კურს დამთავრებულებში. ესენი არიან მხოლოთ ქაღალდზე აღმსრულებელნი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ სამთო ინჟინერიდან ნება დართული დიპლომიანები. მრეწველებს ესაჭიროებოდა ნამდვილი მცოდნე სალხი, რომ გაეუმჯობესებინათ მუშაობის წესი და ამისთანა ძვირფასი მადნები არ გაფუჭებულიეო. მესამე მორიგ შავი ქვის მრეწველთა კრებაზე იყო აღძრული კითხვა დაარსებულიეო ხრაკტიკული კურსები ჭიათურაში, და ამგვარათ მომზადებულ უმაწვილებს მიეცა ხასუხის მგებლობა მუშაობისა, შავი ქვის მადნებისა და ეთომც კიდევ მოამზადებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი თვიდან ოთხი თვემდის და ამ დროს განმავლობაშიაც მესამეჯერაც არ ქონებიათ მეცადინეობა. ჩემი აზრით ორი თვის ანუ ოთხი თვის თუ ექვსის პრაკტიკული კურსები არ არის საკმაო, რომ მოემზადოს კაცი ამისთანა რთული საქმისათვის, როგორც შავი ქვის მადნების მუშაობაა და მრეწველები დიდი მოხარული იყვნენ ამ პრაკტიკული კურსების დაარსების გამო, ფიქრობდენ მალე გვეყოლება გამოცდილი ხალხიო, რითაც შეგვეძლება მადნების გაუმჯობესება და სხვაო. მაგრამ იმედები გაუცრუვდათ, სარგებლი საკმაოთ მიდის ნახევარ კაპეიკის გადასახადიდან, მომზადება კაცებისა კი არაა. ჩემი აზრით საჭიროა ორი და ოთხის თვის ნაცვლათ ერთი წელიწადი მეცადინეობა პრაკტიკულ კურსებზე, თუ ჩვენი თავის მოტყუილება არ გვინდა და ამასთანავე უნდა შეისწავლონ გეგმის შედგენაც, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, თორემ უამისოთ ჩვენი მრეწველები საწადელს ვერ მიაღწევენ და ხარჯი კი გაუორკეცდ ებათ, მეტი არაფერი.

მეთვალყურე.

განთიადი.

(სურათი)

განთიადია... მოდის მზე,
მოდის გვირგვინი ქვეყნისა,
მხრებზე ასხია სხივები
პორფირი მეფეთ-მეფისა.
შეკრთა ცა, მიწა შეთრთოლდა
გაქრა, გაიბნა წყვდიადი...
სამოთხის კარი გაიღო
და წამი დადგა დიადი...
ცამ შვების ცრემლით მონამა,
მიწამ დაიწყო ღიმილი,
ტყემ უმეჯლიშა ნიავსა,
გაისმა ჟივილ-ხივილი!
ბორცვს ტალღა დაჰკრავს ზურმუხტი,
მინდორს დაუქნევს ბოლოსა,
ნაკეცი ნაკეცს გადასდევს,
რომ მთამდინ შეაყოლოსა!
შაშვი იქით ხევს ჩაფრინდა,
შეუნავარდა აქეთ სერს,
ეძებს და ეძებს სატრფოსა,
ეძებს გულისა საყვარელს!
ღუღუნებს ბერი ქედანი,
ქალას წასულა მწირადა,
ერთხელ ისიცა ლაღობდა,
ახლაა განდეგილათა!
მერცხალი მოუსვენარი,
ხან ბალახს ეკვრის, ხან წყაროს,
გაუქროლ-გამოუქროლებს,
რომ გული შემოინამოს!
კორდს დაქვითინებს მგოსანი—
ღამის—არშიყი, სტვენია,
დაიწყო პირველ ცისკარზე,
ჯერაც არ მოუსვენია!
მზე კი, მზე ლაქვარდ ზვირთებში
მოდის, მოაბნევს სხივებსა,
ძირს ტყე-ველს გულ-მკერდს უკოცნის,
მთის წვერვალს ბროლის მძივებსა!

—

წამოდი, ტურფავ, დაუხვდეთ
დილის განთიადს დიდებულს,
ის დაუსვენოთ ძეგლათა
ჩვენს ტანჯვას... ჩვენსა სიყვარულს!
ის იყოს ჩვენი ნუგეში,
იმედი... ძალა გულისა...
მხოლოთ იმისთვის ვაქდეროთ
ჩვენც ჩანგი სიყვარულისა!
ვისწრაფოთ... მისკენ ვისწრაფოთ...
ვისწრაფოთ, ტრედო დილისა,
მახარობელო ფრთა-მალო,
მისი პირველი სხივისა!

—

განთიადია... მოდის მზე,
მოდის გვირგვინი ქვეყნისა,
მხრებზე ასხია სხივები,
პორფირი მეფეთ-მეფისა!

ი. ევდოშვილი.

აბა რა გიკვირს, რა გეცინება?!

(ლექსი პროზათ)

მთაო მყინვარო! ჩემი ფიქრთ გროვა არა ერთხელ შენ მწვერვალზე შეჩერებულა და, ვით ღრუბლები, ნისლიანი შავი ღრუბლები; თავს მოგხვევია—გამოეცნო შენი აზრი, გულის-ნადები. ათასში ერთხელ თუ გადიხდი პირ-საბურავსო, მოგენატრება ალბათ ნახვა დაბლა მიდამოს, საცა წარსულში, შორს წარსულში შენცა იყავი და გაიქეცი. ვეღარ გაუძელ ალბათ სოფლის დაუდგრომლობას, მის მწარე ტირილს და თან ხარხარს, ხარხარს და ტირილს; მის მოთქმას, ცრემლებს, მის მაყრულსა, მაყრულს და მოთქმას, ვაის და შვებას... ან თუ გწადს, მთაო, სოფლისაკენ, გადმოიძახო: ჰე, მიწიერნო! რას ფუსფუსებთ, რას ჟრიამულებთ? ან ცრემლს რათა ღვრით, ან რა არი დემონური ესე ხარხარი? შენ ჰეი, ორ-ფეხა ბიწიერო ადამიანო! ვისთვის ამზადებ მაგ ბასრ მახვილს? ვის გინდა ის გულს გაუწონო? ან რას მრისხანებ? რას ბობოქრობ? რათ აყენებ სისხლისა გუბეს? სად მიისწრაფვი? რას გიხატავს შორს მომავალი? ან რასა იცავ შენ აწმყოში ხელ-სისხლიანი? აურზაური, შენი ხმობა და ხმაურობა ჩემამდი აღწევს, მიკვირს მეტათ და მეცინება.

მე შემომხედე, მე, დიდ მყინვარს! აქ ცის უფსკრულში, თეთრი გვირგვინი თავს დავიდგი და გავმყინვარდი: გულს აღარ ხვდება ნაპერწკალი სიყვარულისა, სულს ვერ მიშფოთებას სოფლის ცრემლი და მწუხარება. მოვწყდი ქვეყანას; დავაგდე ის მოუსვენარი და სწრაფ სროლაში აი სადა ამოვიზიდე. აქ მუდამ მშვიდსა, წყნარსა, აუშფოთებელს საუბარი მაქვს დღის მნათობთან, ღამის გუშაგთან; ვარსკვლავთა გუნდი თავს მევლება და დამციმციმებს; აქ ვსჭვრეტ განგების საკვირველთა საიდუმლოთა. ჩამოვირეცხე მიწიერი, რაც კი გამომყვა; ვერღა დამირღვევს აქ სიმშვიდეს სოფლის ვარამი. უაზრო არი თქვენი ცრემლი, სულის კვეთება; ჰოი, სოფელო! ამაო ხარ, ამაოება! აურ-ზაური, შენი ხმობა და ხმაურობა ჩემამდი აღწევს, მიკვირს მეტათ და მეცინება.

თუ ასე ფიქრობ, სტყუი, მთაო! ის მართალია, აქ ბრძოლაა, ბრძოლა სასტიკი, უმოწყალო, დაუნდობელი; სისხლი ცრემლს ერთვის, ცრემლი— სისხლსა, შვება— ვაებას; ფუფუნება და სიღატაკე ერთ გზით მსვლელობას. ამას არ ვუფრთხით: ცრემლი ცრემლს გაბანს, პირსა შეიკრავს, მოშუშდება ნაიარები.

ადაიანის გონებას არ აქვს არცა საზღვარი, არც დასასრული; არავის ძალუძს მის აღმაფრენას შემოუხაზოს რამე ფარგალი. თვით ღვთის ხატებას მისთვის ატარებს—განსჭვრიტოს ქვეყნის საიდუმლონი. აბა რა გიკვირს, რა გეცინება?! ტყვილა გგონია, მთაო მაღალო, ჩვენი სურვილი და მისწრაფება ამაო იყოს და [illegible]აჩრობა. თუ ცხოვრებაა, მაშ აზრიც [illegible]ი, და თუ აზრია,

მაშ ცხოვრებაა; მზეს ვერ წაართმევ ცხოველსა ძალას და თუ წაართმევ, ის მზე არ არი. აბა რა გიკვირს, რა გეცინება?!

შენ შეგაშინა ცხოვრებისა ჩარხის ტრიალმა, დააგდე ეული საბრძოლველი, უკუ იქეცი; ვალი უარყავ, წმინდა ვალი; დაგმე ყოველი აზრი ცხოველი და გაიქეცი და განმარტოვდი, რომ მყუდროება მოგეპოვა მდაბალ სულისა. აქ კი, მყინვარო, მოუსვენარი ძებნა არი ჭეშმარიტების. აბა რა გიკვირს, რა გეცინება?! ჩვენ შენი გვიკვირს და გვეცინება.

ნატო.

სიცილი.

(ლეონიდ ანდრეევისა)

მე უეჭველათ და უეჭველათ დარწმუნებული ვიყავ, რომ ის შვიდის ნახევარზე მოვიდოდა, ამიტომ ჩემ სიხარულს საზღვარი არა ქონდა. პალტო მხოლოთ ერთს ზევითა ღილზე მქონდა შეკრული, ცივი ქარი უბერავდა, მაგრამ მე სიცივეს არა ვგრძნობდი. თავი უკან გადაწეული მქონდა, ამაყათ ვიყურებოდი, ქუდი კეფაზე გადავიწიე. გამვლელ-გამომვლელ მამაკაცებს ამაყათ ვუყურებდი, ხოლო ქალებს ალერსით და მფარველობით. თუმცა მე სულ ოთხი დღეა, რაც მიყვარდა მაგრამ ახალგაზდა გული ისე მდიდარი იყო გრძნობებით, რომ არ შემეძლო უყურადღებოთ დამეტოვებინა სხვა ქალებიც. მე დავდიოდი მამაცათ, გაბედულათ და ხალისიანათ.

შვიდს ხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც ჩემი პალტო უკვე ორ ღილზე იყო შეკრული. მე ვუყურებდი მხოლოთ ქალებს, მაგრამ ახლა ალერსით კი აღარ, გაჯავრებული, შუბლშეკრული, ზიზღით. მე მინდოდა მხოლოთ ერთი ქალი, დანარჩენებს შეეძლოთ კისერიც მოეტეხათ: ისინი მხოლოთ მაბრაზებდენ თავის მასთან მგზავსებით.

შვიდს ხუთი წამი აკლდა, ქირის ოფლში გავიწურე.

დარჩა ორი წუთი, მე ცივმა ოფლმა დამასხა.

შესრულდა შვიდი და მე დავრწმუნდი, რომ ის აღარ მოვიდოდა.

ცხრის ნახევარზე მე წარმოვადგენდი შესაბრალ, უბედურ ადამიანს პალტოს ყველა ღილები შევიკარი, საყელო ავიწიე, ქუდი ცხვირზე ჩამოვიფხუტე თმები ჩამოვიწეწე, წამწამები და ულვაშები შემეყინა ორთქილისაგან, კბილები ერთმანეთს ცემდენ. წაველი მოკუზული ფეხების ფაჩუნით, მივდიოდი ისე, რომ მაყურებელს ბერი-კაცი ვეგონებოდი.

ყველა ეს მან დამმართა! ოხ, ქაჯ... მაგრამ არა. შეიძლება არ გამოუშვეს, ან ავათ არის, ან მოკვდა. მოკვდა! და მე კი ვიცინები.

II

— იქ დღეს ევგენია ნიკოლაევნაც იქნება,—თქვა ჩემმა ამხანაგმა სტუდენტმა სრულებით გულუბრყვილოთ. მან არ იცოდა, რომ მე ველოდებოდი ევგენია ნიკოლაევნას გარეთ სიცივეში, შვიდის ნახევრიდან ცხრის ნახევრამდე.

— ჰოო! მრავალმნიშვნელოვანათ მიუგე მე და გულში კი წყევა ტრიალებდა.

დიახ, პოლოზოვებთან საღამოზე, მეჯლისში. მე არა დროს არა ვყოფილვარ პოლოზოვებთან, მაგრამ ახლა კი ვიქნები.

— ბატონებო! დავიძახე მე მხიარულათ. დღეს შობაა, ყველა მხიარულობს, ვიმხიარულოთ ჩვენც.

— მერე როგორ? ნაღვლიანათ იკითხა ერთმა.

— ან სად? იკითხა ახლა მეორემ.

— მოვირთვნეთ და ვიაროთ ერთი მეჯლიშიდან მეორეში, გადავწყვიტე მე.

მათ ჩემი წინადადება სიხარულით მიიღეს. ისინი ყვიროდენ, ხტოდენ და მღეროდენ. მიხდიდენ მადლობას და თვლიდენ ფულებს. ნახევარ საათის შემდეგ შემოვიკრიბეთ ას ათამდე მარტოთ დარჩომილი სტუდენტი და ყველა ერთათ გავემგზავრეთ პარიკმახერთან, აქ ტანისამოსსაც იძლეოდენ ქირით.

მე მინდოდა ჩამეცვა რამე კარგი, ნაღვლიანი ფერის გამომხატველი და მოვითხოვეთ; რომ ჩემთვის ისპანიელ აზნაურის ტანსაცმელი მოეცათ.

მომცეს მართლაც ამისთანა კოსტიუმი, მაგრამ აზნაური მეტის-მეტათ გძელი გამოდგა, რადგან თავიდან ფეხებამდე ისე გავეხვიე შიგ, რომ აღარც სუ აღარა ვჩანდი. მე ისევ გამოვძვერ ტანისამოსიდან და მოვითხოვე მოეცათ ჩემთვის სხვა რამ.

— არ გინდათ კლოუნის ტანისამოსი? ჭრელი ქინქილებით.

— კლოუნის! ბრაზიანათ დაუყვირე მე.

— მაშ ყაჩაღის იყოს, განიერი შლიაპით, ხანჯლით.

ხანჯალი! ეს შეფერებული იყო ჩემ განზრახვებთან. მხოლოთ სამწუხაროთ, ყაჩაღი, რომლის ტანისამოსიც მომცეს, ეტყობოდა ჯერ სრული წლოვანი არ იყო. შლიაპა ქოჩორზე დაბლა არ ჩამოდიოდა, შალვრიდან ძლივს ამომძვრინეს. პაჟი ხომ სრულებით არ ვარგოდა მთლათ დაწინწკლული აფთრის ტყავსა გვანდა. ბერი სულ ერთიან დახვრეტილი იყო.

— რას შვრებით? გვიანდება! მაშურებდენ უკვე მომზადებული ამხანაგები. დარჩა ჩინური ტანისამოსიღა.

— მომეცით ეგ! გადაწყვეტით ვუთხარი მე და მათაც მომირბენინეს ჩინური კოსტიუმი. ღმერთო ჩემო, რასა გვანდა ეს ტანისამოსი. აღარას ვიტყვი მე იმ რაღაც სულელურ ჭრელ წაღებზე, რომელნიც ნახევრათ ძლივს მიფარავდენ ფეხებს, არას ვიტყვი არც ფაფანაკზე, რომელიც ძაფებით დავიმაგრე ყურებზე, რომლის გამოც ყურები ზევით ამეჭიმა, როგორც ღამურას.

— მაგრამ მასკა!

ეს იყო, თუ შეიძლება ვსთქვათ ასე, რაღაც განყენებული ფიზიანომია. მას ქონდა ცხვირი, პირი, თვალები ყველაფერი თავის ადგილს, მაგრამ ადამიანური კი არაფერი არ იყო. კუბოში მწოლიარესაც კი არ ექნება ამისთანა სიმშვიდე: არ გამოიხატებოდა არც მწუხარება, არც სიმხიარულე, არც აღტაცება. ის გიყურებდათ პირდაპირ, მშვიდეთ და ძალაუნებურათ სიცილს აღგიძრავდათ. ამხანაგები ძალზე ხარხარებდენ, აწყდებოდენ აქეთ-იქით სკამებს, ტახტს, იქნევდენ ხელებს და ყვიროდენ, რომ ეს ყველაზე ორიგინალური მასკაა. მე კინაღამ ტირილი დავიწყე, მაგრამ როდესაც სარკეში ჩავიხედე თითონაც გამეცინა. დიახ ის ორიგინალური მასკა იყო.

— არა შემთხვევაში არ მოვიძროთ მასკები თათბირობდენ გზა და გზა ამხანაგები. შევკრათ პირობა, პირობა!

III.

მართლა ეს ასე იყო. ჯგუფ-ჯგუფათ დამდევდენ უკან, მატრიალებდენ აქეთ-იქით, მწკმენტავდენ, დამკრავდენ და როდესაც მე გაჯავრებული მიუბრუნდებოდი მათ, ისინი ხარხარს ატეხდენ ხოლმე. გარს ბრბო მეხვია, მე ვერ შემეძლო ამ წრის გარღვევა, ხანდისხან მათი სიცილ-ხარხარი მეც გამიტაცებდა ხოლმე და მეც ვყვიროდი, ვმღეროდი, ვხტოდი, ვთამაშობდი, ქვეყანა ტრიალებდა ჩემ თვალებში, როგორც დამთვრალი, გაგიჟებული. რა შორს იყო ჩემიდან მაშინ ხალხი, როგორა ვგრძნობდი, რომ მე ამ მასკაში ვიყავ მარტო ობოლი.

ბოლოს როგორც იყო თავი დამანებეს. გაჯავრებულმა, ბრაზმორეულმა და მასთანვე ალერსიანათ შევხედე მე მას. ოხ, როგორ ობლათ ვჩანდი მე ამ მასკაში!

— ეს მე ვარ.

შავი და ხშირი წამწამები წყნარათ და გაკვირვებით ამოძრავდენ. მისმა თვალებიდან შავმა სხივთა კონამ გულს ისარი,

ვით გაურბინა და მხიარულმა რაკრაკა ხმით სიცილმა მომცა მე პასუხი.

დიახ, ეს მე ვარ, ეს მე ვარ ვეუბნებოდი მე ღიმილით, რატომ არ მოხველით თქვენ დღეს?

ის იცინოდა. მხიარულათ იცინოდა.

— დავიტანჯე, დამეტანჯა გული, — მუდარებით ვთხოვდი მე მას პასუხს.

მაგრამ, ის მხოლოთ იცინოდა. შავი სხივები ჩაკრენ მის თვალებში და უფრო და უფრო უმატებდა სიცილს. ეს იყო მზე, მაგრამ მზე დამწველი, შეუბრალებელი, სასტიკი.

— რა დაგემართათ?

— ეს თქვენა ხართ? შემომეკითხა ის ბოლოს, სასაცილო ხართ! მე მხრები დაუშვი. თავი ჩავღუნე, სასაცილო იყო იმდროს ჩემი მდგომარეობა.

— სირცხვილია ჩემი დაცინვა, განა თქვენ ამ მასკაში ვერა ხედავთ ცოცხალი კაცის ტანჯულ სახეს? მე ხომ ეს იმიტომ ჩავიცვი, რომ თქვენ მენახნეთ. თქვენ მე მომეცით თქვენი სიყვარული და ასე მალე, ასე შეუბრალებლათ ისევ მართმეეთ მას. რატომ არ მოხველით?

ის სწრაფათ შემოტრიალდა ჩემკენ და გულის გამგმირმა სიცილმა შეაკრთო მთლათ ჩემი არსება. ისე ისე, ხარხარებდა, რომ სულს ძლიესღა იბრუნებდა, მან ძლივს წარმოსთქვა ბოლოს.

— აბა შეხედეთ თქვენ თავს უკანიდან სარკეში... ოხ, რას გევხართ, რომ იცოდეთ.

მე წარბები შევიჭმუხნე, სიმწარისაგან კბილი კბილს გავაცვი და გაყინული სახით, რომელიც სულ ერთიან გაფითრდა შევხედე სარკეს. იქიდან მიყურებდა სულელური და წყნარი სახე. მეც გამეცინა. მაგრამ თავი მალე შევიკავე და სასოწარკვეთილმა თითქმის დაუყვირე:

— თქვენ არ უნდა იცინოდეთ!

როდესაც ის გაჩუმდა მე ნელის ხმით ჩემს სიყვარულზე დაუწყე ლაპარაკი. მე არ მახსოვს, რომ ოდესმე ასე კარგათ მელაპარაკოს, იმიტომ, რომ არცა მყვარებია ამის მეტათ ასე ძლიერათ. მე ველაპარაკებოდი მას გაკრუებულ რანდეუზე, ტანჯვაზე, ეჭვით შეპყრობილ გულზე, მწარე ცრემლებზე, სიყვარულით აღსავსე სულზე. მე ეხედავდი როგორ ეშვებოდნენ ძირს მისი წამწამები, ვეუყურებდი მის გაბრწყინვალებულ თვალებს, ვგრძნობდი, რომ ის თანდითან ჩემკენ იხრებოდა. მას ტანთ მსუბუქი სამოსელი ეცვა, ის წარმოადგენდა ღამის ღმერთს, შავს მატერიაში, ბრილიანტებით გაბრწყინვებული ისეთი სასიამოვნო იყო, როგორც ყრმობის დავიწყებული სიზმრები. მე ველაპარაკობდი და სიამოვნების ცრემლები აწვებოდენ თვალებს, გული სიხარულით მიცემდა. მე დავინახე, დავინახე ბოლოს, როგორ ათამაშდენ კვლავ მისი წამწამები, გაიპო ბაგეც, წყნარათ, გაუბედავათ მოატრიალა მან ჩემკენ თავი და...

ოხ, არ გამიგონია მე ამ გვარი სიცილი!

— არა, არა არ შემიძლია, თითქმის კვნესით მეუბნებოდა ის მერე თავი უკან გადაიწია და გაისმა კვლავ წკრიალა სიცილი.

— ოხ, რომ თუნდ ერთი წუთით მოეცათ ჩემთვის ადამიანური სახე! მე ტუჩებს ვიკვნეტავდი, ცრემლები გახურებულ ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოდიოდნენ და ეს სულელური ფიზიონომია, რომელსაც ყველაფერი სწორე ქონდა ცხვირი, პირი, თვალები, ტუჩები, იყურებოდა საშინელე სიწყნარით გულცივათ. როდესაც მე მოვშორდი იმ ადგილს და გავოგმანდი ჩემ ჭრელ წუღებზე შორიდან ისევ მესმოდა ის გულსაკლავი სიცილი.

IV.

როდესაც სახლში დაბრუნდით და შევყევით ქალაქის მიწყნარებულ-მიძინებულ ქუჩებს სიცილით, კიბორჩალა ბიბლიოთეკა მითხრა:

— შენ დღეს ძაან გაიმარჯვე. მე არ მინახავს, რომ ოდესმე ამდენი ეცინათ. მოიცა, რას შერები? რათ ხევ მასკას, ყმაწვილებო, ეს კაცი გადაირია; უყურეთ, მასკასა ხევს! ის ტირის.

ი—ელი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა მორიგი კრება შედგა 19 მაისს, თავ. ი. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით.

პირველათ წაიკითხეს წასული წლის ოქმი. ამას თან მოყვა საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს საზოგადოთ კრების ოქმი; ამიტომაც კრებამ ამის შესახებ თავითვე განიხილა ბ. ბ. სურგულაძის მოხსენება. ბ. სურგულაძემ შემოიტანა ის წინადადება, რომ კრების ოქმში იყოს აღნუსხული მარტო უმთავრესი საკითხები და დადგენილებანი. მხოლოთ, რადგან ყოველი საკითხის გარჩევა, მისი აწონ-დაწონვა, ესე იგი, ვრცელი ანგარიში წევრთა სჯა-ბაასისა, ძლიერ საჭირო და მნიშვნელოვანია, — ამისათვის ყველა ეს უნდა დაიწეროს ცალკე ჟურნალათ. კრებამ ეს წინადადება ცოტა ხნის კამათის შემდეგ სცნო აუცილებლათ და საჭიროთ.

ამის შემდეგ კრებამ დაამტკიცა წასული წლის ოქმი და შეუდგა სარევიზიო კომისიის მოხსენების განხილვას საზოგადოების გამგეობის მოქმედების შესახებ. პირველათ, სარევიზიო კომისიამ მიაქცია ყურადღება შემდეგ გარემოებას. კანონის ძალით გამგეობა თავის წევრებიდანვე ირჩევს მდივანს და ხაზინადარს; ხოლო ეს უკანასკნელნი უდროობის გამო ვერ ასრულებენ თვის თანამდებობას და მათ მაგივრობას წევს საზოგადოების საქმის — მწარმოებელი. სარევიზიო კომისია აცხადებს, მოისპოს ეს ფიქტიური თანამდებობანი... ბ-ნნი ი. გოგებაშვილი და ექიმი გაბაშვილი შიშობენ, საქმის ამ რიგათ დაყენებას, სოდო ივ. ხალდუნიშვილი თხოულობს ამ ფაქტიურ თანამდებობის ასაცდენათ იქნეს გამგეობის წევრათ არჩეული თვით საზოგადოების საქმის — მწარმოებელი. ბ. ბ. სურგულაძე ეთანხმება გამგეობის გადაწყვეტილებას, რადგან საზოგადოების წინაშე ნამდვილ პასუხის მგებელნი არიან მდივნათ და ხაზინადრათ არჩეულნი გამგეობის წევრნი. კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ეს ბოლო წინადადება.

ამის შემდეგ, სარევიზიო კომისია შენიშნავს გამგეობას, რომ მან ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სკოლების დათვალიერებას. გამგეობამ აღუთქვა კრებას, მივიღებთ ამ გარემოებას მხედველობაშიო... ბ. ი. გოგებაშვილი თავის მხრით შენიშვნას აძლევს გამგეობას იმის შესახებ, რომ მას აღნიშნულ წელს თითქმის არავითარი ანგარიში მოუცია სკოლების შინაურ მდგომარეობაზე, სწავლა-აღზრდის საქმეზე. ბ. ბ. სურგულაძე ხსნის ამ გარემოებას შეჭუშავებულ გეგმის უქონლობით და ითხოვს, რომ იქნეს შეკეთებული ამგვარი გეგმა სკოლების რევიზიის მოსახდენათ და სარევიზიო ანგარიშის შესადგენათ. ბ. გ. წულუკიძე შენიშნავს, რომ გამგეობას საანგარიშო წელს ზოგიერთი სკოლები სულ არ დაუთვალიერებია. ამაზე ბ. ე. ფაჟაიშვილმა მოახსენა კრებას ყველა ის დაბრკოლება, რომელიც უშლის ხელს გამგეობას სკოლები ხშირათ დათვალიეროს; სარევიზიოთ უნდა აირჩეს წევრები — პედაგოგები, მაგრამ, როცა ესენი თავისუფალი არიან, მაშინ რევიზიის მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდენ სკოლებშიაც შეწყვეტილია სწავლაო, მუდმივ რევიზორის გულისთვის კი უფულობა არ გვაძლევს ნებასაო... კავკავის სკოლის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება კრებამ გამგეობის თხოვნით განუხილველი დატოვა საქმის დასრულებამდე... აქ კრება შეწყდა. გაგრძელება ამ კრებისა მოხდა 25 მაისს.

პირველათ კრება აქცევს ყურადღებას, თუ რას ნიშნავს ანგარიშში მოყვანილი საზოგადოების გავალებული ფული, 3391 მ. 41 კაპ... გამგეობამ განმარტა, რომ ეს ფული სოფლის საზოგადოებების ფულია სკოლების შესანახათო. ამ ვალის შესახებ ზოგი ამბობდა, ეპატიოს სოფლებს ეს ვალიო, ზოგი კი—დარჩეს ეს ფული ანგარიშში ისე, როგორც არის შიგ ნაჩვენებიო... კრებამ ეს უკანასკნელი მოსაზრება დაამტკიცა... შემდეგ შეუდგენ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას ბ. ბ. სურგულაძის მოხსენებასთან ერთათ. ბ. სურგულაძე თხოულობდა, მასწავლებლებს (გარდა ქუთაისის და სენაკისა, რადგან მათ საკუთარი თანხა აქვთ) მოემატოს ყოველ ხუთი წლის შემდეგ თავისი ჯამაგირის 10%. ამის წყაროთ მან აღნიშნა შემდეგი. საზოგადოების მდივნის მეორე თანაშემწის თანამდებობა სრულიათ მეტია, რადგან საზოგადოების საქმე მას არ საჭიროებსო. სამაგიეროთ ჯამაგირი უნდა მიემატოს პირველ თანაშემწესო. ერთი ეს. მეორეთ, წიგნების გაყიდვით მდივანს და მის თანაშემწეთ ეძლევათ 25% დივიდენდათ, რაც სრულიათ უკანონოა; მდივანს ამ საქმეში არავითარი შრომა არ მიუძღვისო. ამრიგათ, ჩვენ დაგვრჩება ყოველ წლიურათ 780 მან. ეკონომია, რაც პირველ ხანებში საკმარისი იქნება მასწავლებელთა ჯამაგირის მოსამატებლათო. გამგეობა ამ მოხსენებას პრინციპიალურათ ეთანხმება. ხოლო, რაც შეეხება იმ წყაროს, რომელიც გამოძებნა ბ-მა სურგულაძემ, ამაზე კი უარი განაცხადა. კამათი გაძლიერდა, ბოლოს უმეტესობა შემდეგ აზრს დაადგა: მდივნის მეორე თანაშემწის ადგილის მოსპობა შეუძლებელია, რადგან საზოგადოების საქმის გართულება და ბუგალტერიული წესი ამას მოითხოვსო. რაც შეეხება დივიდენდის მოსპობას, ესეც უვარგისია, რადგან ის საქმეზე წამქეზებელია და რომ ის მოისპოს, წიგნები სულ აღარ გაიყიდებაო... კრებამ ამისათვის უარყო ბ. სურგულაძის წინადადება შტატის შემკირების და დივიდენდის მოსპობის შესახებ; მხოლოთ გამგეობას დაავალა, შეადგინოს მომავალში პროექტი მასწავლებელთა ჯამაგირის მომატებისათვის... შემდეგ, კრებამ განიხილა ბ. სურგულაძის მოხსენება საკუთარი რევიზორის შესახებ სკოლებისათვის. პრინციპიალურათ კრებამ აქაც თანხმობა განაცხადა, ხოლო უფულობის გამო დატოვა დროებით ისევ არსებული წესი.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ბ. მამულაიშვილის მოხსენებამ დათხოვნილ მასწავლებლის შესახებ. ის თხოულობდა: დათხოვნილ მასწავლებელს ნება ქონდეს თავის გამართლებისაო, ხოლო გამგეობამ კრებას წარმოუდგინოს ყველა ის საბუთი, რომლის ძალით ის დაითხოვაო. გამგეობა ამის წინააღმდეგი იყო. მაგრამ უმრავლესობამ ეს თხოვნა შეამცირა და თხოულობდა მხოლოთ, მასწავლებელს თვისი ზნეობრივი დაკმაყოფილებისათვის ნება ქონდეს თავი იმართლოსო. შეიქნა ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე კენჭის ყრა და მართლაც ბევრი გამოჩდა ამის თანახმა. მაგრამ თავმჯდომარემ კენჭის ყრა უცბათ შეწყვიტა და ხელ-ახლა დააყენა კითხვა პრინციპიალურათ: მოსახერხებელია თუ არა საზოგადო კრებისათვის დათხოვნილ მასწავლებლის საჩივრის განხილვა? ამის შესახებ სხვა-და-სხვა აზრი გამოითქვა. შემდეგ თავმჯდომარემ სრულიათ მოსპო კამათი ამ საგანზე და ამ ნაირათ ეს კითხვა გამოურკვეველი დარჩა.

დასასრულ გამგეობის წევრებათ ამოირჩიეს ბ-ნნი ფ. გოგიჩაიშვილი და ს. ფირცხალავა, ხოლო კანდიდატათ ი. ბარათაშვილი.

საზღვარ-გარეთ.

საფრანგეთი. კომბის სამინისტროს, რომელიც ახლახან შედგა, საერთოთ რადიკალური ხასიათი აქვს. მისი პროგრამის უადრესი მუხლები თხოულობენ კონგრეგაციების შესახებ შემოღებულ კანონების განხორციელებას, ფალლუს კანონის გაუქმებას, ორი წლის სამხედრო ბეგარას, შემოსავალზე პირდაპირ გადასახადს და რკინის გზების გამოსყიდვის საქმის გაცნობას. საზოგადოთ კომბი ცნობილია, როგორც ჭკვიანი ენერგიული, და თავგამოდებული დემოკრატი; დაუცხრომელი მტერი კრელიკალებისა. პელტანი ცნობილია, როგორც შეუწყნარებელი მტერი პლუტოკრატთა პრივილეგიებისა.

ახალი მინისტრ პრეზიდენტი კომბი ცნობილია, როგორც ენერგიული მომუშავე პარლამენტში. ის დაიბადა 1835 წელს, ასე რომ ამჟამათ ის 67 წლისაა. პროფესიით ექიმია და 1867 წელს მიიღო მედიცინის დოქტორის ხარისხი. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო 1875 წელს, ის ამოირჩიეს პონსის ქალაქის მერათ. შემდეგ იმავე დეპარტამენტმა კომბი ამოირჩია სენატში თავის წარმომადგენლათ 1888 წ. ამის შემდეგ კომბს აღარ დაუტოვებია საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი.

კომბი თავის მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახალხო განათლებას და არა ერთხელ წარადგინა წინადადება ამ საქმეში რეფორმების შესატანათ. საზოგადოთ კომბი თვისი მიმართულებით ეკუთვნის რადიკალურ პარტიას და მეგობრულათ უჭერებდა ვალდეკ-რუსოს სამინისტროს. ეჭვი არ არის, რომ ის ეცდება ახალი სამინისტრო შეადგინოს მხოლოთ რადიკალთაგან და განაგრძოს ვალდეკ-რუსოსმიერ დაწყებული საქმე.

სამხრეთ-აფრიკა. ბურებთან ომი უკვე დასრულდა. ამიტომ საინტერესოა გავიხსენოთ ამ ომის უმთავრესი ამბავი „Frank. Zeit.“ იძლევა შემდეგ ცნობებს.

9 ოქტომბერი. ბურების ულტიმატუმი, რომელშიაც თხოულობდენ, რომ უთანხმოება უიტლენდერების (არა-ბურების) მდგომარეობის შესახებ ტრანსვაალში გადაეცეს განსახილველათ სამედიატორო სამართალს და რომ ინგლისმა უკანვე წაიყვანოს ტრანსვაალის საზღვარზე დაყენებული ჯარი.

10. ოქტომბერი. ინგლისმა კატეგორიულათ უარყო ბურების ულტიმატუმი.

11. ოქტომბერი. ბურები შეესიენ ინგლისის სამფლობელოს (ნატალს).

20 ოქტომბერი. ბურების გენერალმა ლუკას მეიერმა საშინლათ დაამარცხა გლენკოსთან ინგლისელი გენერალი სიმონსი. ინგლისის ჯარებმა ლედისმიტისაკენ დაიწიეს.

21 ოქტომბერი. ინგლისის გენერალმა ფრენჩმა გაიმარჯვა ბურებზე ელანდსლაგესთან.

30 ოქტომბერი. ბურებმა დაატყვევეს ინგლისელების მთელი რაზმი ნიკოლსონ-ნეკთან.

31 ოქტომბერი. კაპშტატში მოვიდა ინგლისიდან გენერალი ბულერი (პირველი მთავარ-სარდალი).

23 ნოემბერი. ინგლისელ გენერალმა მეტუენმა დაამარცხა ბურების პატარა რაზმი ბელმონტთან.

24 ნოემბერი. მეტუენისავე გამარჯვება გრასპანთან (ენსლინში).

29 ნოემბერი. გენერალი მეტუენი საშინლათ დაამარცხეს ბურებმა მდინარე მოდერთან (მოდერ-რივერ).

10 დეკემბერი. გენერალ გატაკრის დამარცხება ბურებისაგან სტრომბერგთან.

11 დეკემბერი. მაგერსფონტეინთან ბურებმა სასტიკათ დაამარცხეს გენერალი მეტუენი.

ეროვნული

15 დეკემბერი. გენერალ ბულერის დამარცხება კოლენზოსთან.

1900 წელი

10 იანვარი. ლორდ რობერტსი (მეორე მთავარ-სარდალი) და კიტჩენერი (შტაბის უფროსი) კაპშტადტში მივიდნენ.

24 იანვარი. გენერალ ბულერის დიდი დამარცხება სპიონსკოპთან.

8 თებერვალი. ბულერისავე დამარცხება ვაალკრანცთან.

15 თებერვალი. გენერალ ფრენჩმა განათავისუფლა ქალაქი კიმბერლეი, რომელიც ალყა შემორტყმული იყო ბურებისაგან.

18 თებერვალი. ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა რობერტსმა ალყა შემოარტყა 150,000 კაცით ბურების გენერალს კრონიეს, რომლის ჯარი რვა ათას კაცს არ აღემატებოდა.

27 თებერვალი. კრონიე დანებდა 4300 ბურთან ერთათ პაარდებერგთან.

28 თებერვალი. ბურებმა საჩქაროთ შემოხსნეს ალყა ლედისმიტს.

13 მარტი ინგლისელებმა დაიკავეს ორანჟეს რესპუბლიკის სატახტო ქალაქი ბლუმფონტეინი.

18 მაისი. ბურებმა ალყა შემოხსნეს მეფეკინგს.

27 მაისი. ლორდი რობერტსი თავის ჯარით ტრანსვაალის ტერიტორიაზე შევიდა.

28 მაისი. ორანჟეს რესპუბლიკა გამოაცხადეს ბრიტანიის იმპერიის სამფლობელოთ.

31 მაისი. ინგლისელები შევიდნენ იოჰანესბურგში.

5 ივნისი. ინგლისის ჯარები შევიდნენ ტრანსვაალის სატახტო ქალაქ პრეტორიაში და ანთავისუფლებენ ტყვეობიდან ოთხი ათას ინგლისელ ჯარის კაცს.

30 ივლისი. ბურების გენერალი პრინსლოო ხუთი ათას ჯარის კაცით დანებდა ინგლისელებს ფურისბერგთან.

23 აგვისტო. ბურები დამარცხდენ ბელფასტთან.

20 სექტემბერი. ლორდ რობერტსმა გამოაცხადა, რომ ომი გათავებულია, და თუ ვინმე იბრძვის ბურების მხარეზე, ისინი „მაროდერების“ (მძარცველების) ბრბოებს წარმოადგენენ, რომელნიც დაქირავებული არიან.

20 ოქტომბერი. პრეზიდენტი კრიუგერი წამოვიდა ევროპაში ჰოლანდიის სამხედრო გემით.

25 ოქტომბერი. ფორმალური გამოცხადება, რომ ტრანსვაალი დიდი ბრიტანიის სამფლობელოა.

11 დეკემბერი. ლორდ რობერტსმა თავი დაანება სამხრეთ-აფრიკას და მთავარ-სარდლობა კიტჩენერს გადაცა.

1901 წელი.

მარტის პირველი რიცხვები. კიტჩენერისა და ბოტას შუა მოლაპარაკება გაიმართა მშვიდობიანობის შესახებ, მაგრამ ვერ შეთანხმდენ.

30 მაისი. ბურებმა დაამარცხეს ინგლისელები ფლაგფონტეინთან.

6 აგვისტო. კიტჩენერმა გამოცა პროკლამაცია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ბურების ყველა მეთაურები, რომელთაც იარაღი არ დაუყრიათ, სამუდამოთ განდევნილი იქნებიან სამხრეთ-აფრიკიდან და დაკარგვენ მთელ თვის ქონებას.

20 აგვისტო. ბურებმა გაიმარჯვეს უნიონდალთან.

30 სექტემბერი. ბურებმა გაიმარჯვეს მედვილთან.

11 ოქტომბერი. ინგლისელებმა დახვრიტეს ბურების სარდალი ლოტერი.

12 ოკტომბერი. ინგლისელებმა დაატყვევეს ბურების სარდალი შეპერსი (დახვრიტეს 1902 წლის 19 იანვარს).

1902 წელი.

30 იანვარი. ჰოლანდიის პირველ მინისტრმა შუამდგომლობის წინადადება მიცა ინგლისს.

10 თებერვალი. დევეტმა გაარღვია ინგლისელების ჯარები.

9 მარტი. ბურებმა სასტიკათ დაამარცხეს ინგლისელები ტვებომთან; ლორდ მეტუენი დაატყვევეს, მაგრამ დელარეიმ იგი განათავისუფლა.

17 მარტი. ტრანსვაალის მთავრობის წევრები შალკ-ბურგერის მეთაურობით მოვიდნენ ბელფასტში. დაიწყო ზავზე მოლაპარაკება.

31 მაისი. ზავის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პრეტორიაში.

გერმანია. როგორც წარსულ ნომერშიაც გვქონდა ნათქვამი, პრუსიის მთარობამ შეიმუშავა პროექტი პოლონელების გასანემეცებლათ. ეს პროექტი უკვე მიუღია კომისიას და მალე დასამტკიცებლათ წარედგინება პალატას.

არც ერთი დასაჩუქრებული და დამსაჩუქრებელი არ ჩაცვინულან იმისთანა უხერხულ მდგომარეობაში, როგორშიაც დღეს არის გერმანიის იმპერატორი და ამერიკის პრეზიდენტი. საქმე იმაშია, რომ გერმანიის იმპერატორმა ამერიკის პრეზიდენტს უსაჩუქრა ფრიდრიხ მეორის ქანდაკება და აგრეთვე გამოსთქვა სურვილი დადგან ეს ქანდაკება ვაშინგტონის ერთ-ერთ მოედანზე. რუზველტმა საჩუქარი მიიღო, მაგრამ ამერიკაში დიდი წინააღმდეგნი არიან, რომ ეს ქანდაკება დაიდგას იმისთანა საპატიო ადგილს, ვინაიდან ფრიდრიხ მეორე როგორც ისტორია ახასიათებს, ყოფილა ერთი უსაშინელესი მბრძანებელი თავისი დროისა, სასტიკი ხელმწიფე, მტერი თავისუფლებისა, რომლისათვისაც იბრძოდა იმის დროს თვით ამერიკა.

ინგლისი. ინგლისელი გაზეთები დიდ სიხარულს გამოთქვამენ ბურებთან შერიგების გამო. მაგრამ ამათ შორის არიან ისეთებიც, რომელნიც უფრო სამართლიანათ სჯიან საქმეს. მაგ., აი რას ამბობს ერთი იმპერიალისტთა მოწინააღმდეგე გაზეთი: „მართალია უნდა გვიხაროდეს მშვიდობიანობის ჩამოგდება, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ახლა უფრო საშიში საქმე გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე ომის დროს: ჩვენ უნდა შევიტანოთ აოხრებულ მხარეში ჰარმონია და ბედნიერება, ჩვენ უნდა ვუჩვენოთ დამარცხებულთ, რომ ინგლისის ერი სამაგალითოა არა თუ მარტო ომში, არამედ მშვიდობიანობაშიაც. ჩვენ სამწუხარო მაგალითებიდან ვიცით რომ დაპყრობა ადგილისა არ ნიშნავს კიდევ იმას, რომ ბოლო მოეღო ტანჯვასაც. ამ ორი წლის ნახევრის წინეთ, განაგრძობს გაზეთი, ლონდონის მცხოვრებნი აღტაცებაში იყვნენ ომის გამოცხადებით. ახლა იმავე სიხარულით ეგებება შერიგებასაც. და ეხლა, როდესაც ომი უკვე გათავდა, არ მოიპოვება არც ერთი ინგლისელი, რომელიც უარყოფს ბურების სიგმირეს, მამაცობას ამ პატარა ერისას, რომელიც გამოიჩინა მან სხვებთან ბრძოლაში. ან კი როგორ შეიძლება ამის უარყოფა? ეს ომი ჩაიწერება ისტორიის ფურცლებზე, როგორც ერთი უშესანიშნავესი ბრძოლა პატარა ერისა დიდ ერთან“.

ბურების მამაცობას და სიგმირეს ახლა აქებს თვით სამინისტრო გაზეთიც.

ირლანდიის ნაციონალური გაზეთები ამბობენ ამასვე, მაგრამ დიდ საყვედურს უთვლიან ინგლისს, როგორც უსამართლოების ჩამდენს, არა თუ ომის ატეხაში, არამედ ომის დროსაც. „ჩვენაო, ამბობს ირლანდიის ერთი ნაციონალური გაზეთი, თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გამარჯვება, გამარჯვება არა სიმამაცით, არამედ რიცხვთა მრავლობით, ისტორიაში ჩაიწერება ინგლისის ერთ სამარცხვინო ტრიუმფთა შორის, რომლის მზგავსი არ ყოფილა აქნობამდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ირლანდიას, რომელიც ასევე სამარცხვინოთ დაიმორჩილა ინგლისმა“.

რუსეთის ცხოვრება.

კომისიამ, რომელმაც უნდა გასინჯოს თეატრის შესახებ კანონთა დებულება, ერთხმათ დაადგინა, რომ თეატრს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მთავრობა უეჭველათ უნდა ზრუნავდეს მისთვისო.

— დაბალ სახელოსნოების სასწავლებლების შესანახათ მიმდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნარე წელში გარდა იმისა რაც წინეთ იყო გადადებული კიდევ გადაიდო 55,000 მანეთი.

— მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებაზე საკასაციო საჩივრის გადასახადი, როგორც სენატმა განმარტა, დაკანონებულია 60 კაპ. მარკა და არა მანეთიანი.

— 15 მაისს ვილნოს ოლქის სასამართლომ განიხილა ლეკუხის საქმე, რომელსაც ვილნოს გუბერნატორის ფონ-ვალის მკვლელის განზრახვა ბრალდებოდა. სამხედრო სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დატოვეს. 28 მაისს ქალაქ ვილნოში ჩამოარჩვეს დამნაშავე.

სამშობლოს ცაზე.

წარსულ შაბათს, სალამოს რვა საათზე წერა-კითხვის თავმჯდომარე კვლავ ავიდა სამრეკლოზე. გაისმა ზარი და ემცნოთ ველას, რომ „გოგია დიაკვნამ" (გამგეობამ) დღეს სამშობლო უნდა დაიხსნასო. გავარდა თოფი და მართლაც ჩვენი „გოგიები" სამშობლოსათვის თავგანწირულნი გამოდგნენ. მათ ისე მაგრათ შეიხურეს კარები, რომ ყოვლათ შეუძლებელია ამიერიდან მის ციხე-საფარში არამც თუ მზის შუქის, რენტგენის სხივების შეშუქებაც კი. ასე, რომ წერა-კითხვის დამაბნელებელმა გამგეობამ მიახწია სასურველ მიზანს. ის იქნება ამიერიდან თვალ-გამოთხრილი მზე, რომელსაც ჯავშნით დრუბელი ჩაუცვამს და ჩაფხუტათ ჯურღმული დაუხურავს.

ეს არც საკვირველია: ვინაიდან „ბატონ-ყმური" მამაშვილობა თუ კი წინეთ ყოფილა, რატომ ჩვენ გამგეობასაც, რომელთა შორის ბევრი მოიპოვება მისი მოტრფიალე, არ შეუძლია ასე მოიქცეს. ამიერიდან საზოგადოებას დარჩენია მხოლოთ სულ უბრალო და ადვილათ ასასრულებელი მოვალეობა: მან უნდა დაადვას „კარი ძნელი" ბაგესა თვისსა. დანარჩენი კი მიანდოს გამგეობას, რომელიც ერთ-არს წმინდა, ერთ-არს უფალი და ბრძანებელი, ურმის კოფოზე მისვენებული. ურემში მჯდომთ კი შეუძლიანთ მხოლოთ დუმილით ჩაესვენენ სადმე უფსკრულში, სურვილისამებრ ბატონ გამგეობისა.

* *
*

უკანასკნელი კრება კიდევ მით იყო შესანიშნავი, რომ ეს შარშანდელი კრების ალილუია გამოდგა. თუ გახსომთ ზოგიერთნი მაშინდელი ოპოზიციიდან არჩეულნი გამგეობის წევრებათ, ვიდრე მათ საზოგადო მოედნიდან გამგეობის სკამზე დასვამდენ, მრავალჟამიერს უგალობდენ ოპოზიციას. წელს კი ალილუიათი დაათავეს. ალბათ „შავი თეთრთან რო დაება ან ზნეს იცვლის, ან ფერსა" ან არა და ესენიც ის ყორნები გამოდგნენ, რომელნიც „აროდეს გათეთრდებიან რაც უნდა ხეხოთ ქვიშითა".

* *
*

ჩვენ ერთხელ ვთქვით, რომ გულად „მოგზაურს" პოეტებიც მამაცნი ყავსო. ეს შეიძლება მაშინ არავინ დაგვიჯერა, მაგრამ ახლა კი იმისთანა მტკიცე საბუთს წარმოუდგენთ, რომ ეჭვს ადგილი აღარ ექნება. ამ საბუთებით მკითხველი მიხვდება, რომ არიან ორფეხნი, რომელთაც არ ეშინიანთ არც სიწითლისა, არც სველი ტილოსი და არც გძელი პერანგისა.

ერთი ამათგანი ბ-ნი ლ-ძეა, ის შარშან „მოგზაურს" არხეოლოგიას უღეჭავდა, ხოლო წელს უფრო მაღლა ასულა, ე. ი., ღმერთების სამთავროში, რათა პოეზიაც ღვთიური გამოსულიყო. მას გაულექსავს წელს „მოგზაურის" № 5-ში „ქართველთ ღმერთები": „არმაზი" „გაცი"-დ „გა".

არც ერთი მათგანი არ გასწყრომია პოეტს, ყველას მისთვის ხელი დაუმარჯვებია და გამოსულა ლ-ძისებური ჩვეულებრივ საუცხოვო რამე, რომლის ნიმუშებსაც აქავ წარმოვიდგენთ:

„კერპი არმაზი
იყო ძვირფასი
თვალი, ალმასი
იყო თვალ მისი".

„ოქროს გაცი
ვერცხლის გაიმი—
იდგნენ ვით კაცი
უსულო ბეცი"

„ქალ-ღმერთი იყო
კერპი აჲ-ნინა,
მზგავსივე იყო
კერპი დაჲ-ნინა"

და სხვა და სხვა.

მაგრამ მე რომ „არმაზი" ვიყო ვეტყოდი ბ-ნ ლ-ძეს: შენ, ძამია, პოეზიას „არა მაზი" ხარ, არამედ ნიშადური. „გაცი" რომ გახლდეთ ეურჩევდი, გასცი და გადაიკარგე, „გა" გამშორდი ქრისტეს გულისათვის მაინც, თუ ჩვენი არა გწამს-რა მეთქი.

ვეჭობ კი რომ შეისმინოს ბ-ნ ლ-ძემ ეს რჩევა, რადგან ის პოემის გაგრძელებას უკვე გვპირდება მეორე ნომერში.

მაშ, გიხაროდეთ ქართული პოეზიის მოყვარულნო, გიხაროდეს შენც ბ-ნო „მოგზაურო", რამეთუ მაგისთანა ხანგურზე მკვდარსაც კი ფეხები აუთამაშდება და შენ ხო...

რიგოლეტო.

ორიოდე სიტყვა პარკის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

(ბ. ნ. წერეთლის წერილის გამო)

სწორეთ ახირებული კაცი ყოფილა ბ-ნი ნ. წერეთელი. რაც უნდა ზრდილობიანათ და მორიდებულათ დაწეროთ რამე მის ან იმის გამგეობის ქვეშ მყოფ „მეაბრეშუმეთა ამხანაგობის" შესახებ, იგი მაინც იწყენს თურმე და „უანტიკრიტიკოთ" არ დაგტოვებთ. ასე მოიქცა იგი ჩვენი თანამშრომლის Z-ის წერილის გამოც, რომელიც „კვალის" № 17-ში იყო დაბეჭდილი. მან დასტამბა გძელი წერილი „ივერიაში" (№ 97), სადაც იგი ნაწყენი კილოთი Z-ს პასუხს აძლევს და თავის შეცდომას, არც პრაქტიკულს და არც თეორიულს, რომელიც Z-მ აღნიშნა „კვალში", შეცდომათ არ ცნობს და არ აღიარებს.

შეცდომა, როცა იგი გულწრფელი შრომა-მოქმედების შედეგია, სრულიათაც არ არის სასირცხო და დასაძრახი, შეცდომა მხოლოთ იმას არ მოუვა, ვინც არ მოქმედობს და არაფერს აკეთებს. მშრომელ და მომქმედ კაცს შეუცდომლობასთან ხანდახან, უეჭველია, შეცდომაც მოუვა, მაგრამ ეს მას არ უნდა აშინებდეს და გულს არ უტეხდეს. შეუცდომლათ თავისი თავი მხოლოთ მოკლე ჭკუისა და გადამეტებულ თავ-მოყვარეობის მქონე კაცს მიაჩნია.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ვითომ ბ. ნ. წერეთელს თავი შეუცდომლათ მიაჩნდეს. ეს ჩვენ არ ვიცით და მის გულში ფათურს ვერ დავიწყებთ და არც დავიწყებთ. მხოლოთ ეს კი ეტყობა, რომ მას Z-ის შენიშვნა წყენია და თვისი საპასუხო წერილიც გულის მოსაოხებათ დაუწერია, რომ „რამე" ეთქვა და შენიშვნა „უპასუხოთ" არ დაეტოვებია.

Z-მა ბ-ნ ნ. წერეთელს ორი შენიშვნა მისცა: ერთი შეეხებოდა პრაქტიკულ მოქმედებას, საზღვარ გარეთ პარკის გაყიდვას, ხოლო მეორე უფრო—ასე ვთქვათ—თეორიული ხასიათისა იყო.

1900 წელს „ამხანაგობას" პარკი საზღვარ გარეთ წაუღია და იქ, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ზარალით გაუყიდია. ეს აღნიშნა Z-მა და თან დაძინა, „ამხანაგობა" მჩატეთ და საქმეში ჩაუკვირვებლათ მოქცეულა, რომ ამდენი საქონელი საფრანგეთში წაუღია და „წინ და წინ არც მყიდველი ყოლია

ᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐᲝ“. ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ: „ᲛᲘᲩᲐᲢᲔᲗ“ ᲓᲐ „ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲩᲐᲣᲙᲘᲠᲕᲔᲑᲚᲐᲗ“ Ბ-ᲜᲘ Ნ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲡᲐ ᲐᲥᲪᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲮᲐᲡᲣᲡᲕᲐᲛᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲢᲧᲓᲔᲗ, ᲐᲡᲔᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲗ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲡᲐᲮᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠ „ᲛᲘᲩᲐᲢᲔᲗ“. „ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲡ“ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲬᲐᲘᲦᲝᲡ, ᲘᲥ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲐᲚᲐᲒᲝᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲪᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲓᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲝᲑᲘᲗ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲣᲪᲐᲓᲝᲡ. ᲐᲮ ᲘᲒᲘ 10 ᲓᲐ 12 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲐᲗ ᲡᲔᲡᲮᲣᲚᲝᲑᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲤᲔᲠᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ: ᲗᲣ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲔᲡ ᲞᲐᲠᲙᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲡ.

Ბ-ᲜᲘ Ნ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲑᲫᲐᲜᲔᲑᲡ: „ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ-ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲗ ᲬᲘᲜᲓᲐᲬᲘᲜ ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲧᲘᲓᲘᲐᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲥᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲐᲠᲙᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ“.

ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲘᲓ ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲘᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲕᲐᲭᲠᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲗ ᲙᲣᲮᲘᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲡ“. ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲐᲡᲐᲚᲔᲚᲔᲗ-ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲐᲨᲘ ᲧᲘᲓᲘᲡ ᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲚᲡ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲡ ᲓᲐ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲗ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲐᲕᲐᲗ ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲮᲐᲚ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲐᲡᲐᲪ. ᲙᲣᲮᲘᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐ“ ᲙᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲘᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ. ᲓᲘᲓᲘ-ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲜ ᲨᲔᲘᲫᲚᲝᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲛᲓᲔ ᲪᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲬᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲘ! ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲘ, ᲠᲐ ᲤᲐᲡᲘᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ, ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲛᲝᲠᲝᲡ, ᲒᲐᲣᲧᲘᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲣᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲒᲔᲑᲐᲐ ᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲠᲝᲠᲘᲔᲚ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ, „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲛ“ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ á livrer ᲔᲘ. ᲘᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲐᲡ ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲓᲐᲬᲘᲜᲕᲔ, ᲠᲐᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲣ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡᲝ. ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ ᲞᲐᲠᲙᲘ ā livrer, ᲩᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲗ ᲙᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲗᲕᲘᲗ Ბ. Ნ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲡ ᲣᲐᲠᲡ. ᲛᲐᲨᲐᲡᲐᲓᲐᲛᲔ, ᲛᲝᲡᲐᲮᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲠᲝᲛ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲛ“ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲕᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲕᲙᲕᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲘᲗ ᲧᲘᲓᲝᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ 1900 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲐ.

Z-ᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ Ბ. Ნ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ »ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ“ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲧᲘᲓᲕᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲗᲮᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ „ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐᲪ“ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲡ „ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ“ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲘᲐ. Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲡ ᲣᲜᲓᲐ, ᲞᲐᲠᲙᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲐᲮᲐᲜᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲐᲗ ᲘᲧᲝᲓᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲣ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲘᲗ ᲙᲐᲠᲒ ᲤᲐᲡᲐᲗ ᲐᲘᲦᲔᲑᲡ, ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲣᲗᲕᲚᲝᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ „ᲗᲣ“-ᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲗᲣ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲡ“ ᲘᲛᲘᲓᲔᲓᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲓᲐ ᲡᲐᲖᲐᲠᲐᲚᲝ ᲤᲐᲡᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲚᲘ, Ბ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲡ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲨᲔᲕᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲞᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲓᲐ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ: „ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲒᲣᲑᲐ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ; ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲚᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲐᲡᲐᲦᲔ ᲙᲐᲠᲒ ᲤᲐᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲔᲦᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲨᲔᲕᲘᲕᲡᲔᲑ, ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲔᲚᲓᲔ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲛᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲐᲗ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲝᲗ“.

ᲐᲛᲐᲖᲔ Z-ᲛᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲜᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ: „ᲔᲡ ᲮᲝᲛ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲔᲠᲗᲐᲗ, ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲐᲗ ᲛᲝᲣᲕᲐᲗ ᲗᲣ ᲪᲐᲚ-ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲠ“. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲗ Ბ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲨᲘ“ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲖᲐᲠᲐᲚᲐᲗ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲣᲜᲓᲐᲘᲧᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲐᲠᲘ, ᲛᲮᲝᲚᲝᲗ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲐᲡ ᲓᲐᲔᲙᲘᲡᲠᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, “ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐ ᲡᲣᲚ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲘᲒᲘ ᲨᲔᲣᲠᲧᲔᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑᲝᲜᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, Ბ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲐᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐ“ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲗ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲓᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲔᲓ ᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲘᲡᲜᲓᲑᲝᲚᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲡ“ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲙᲡ ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐᲖᲔ ᲓᲐᲙᲚᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲡᲐᲗ ᲐᲠ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲘᲛ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲨᲔᲘᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ. ᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲡ ᲗᲕᲘᲡᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲕᲐᲭᲐᲠᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲠᲣᲚ ᲤᲐᲡᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ, ᲓᲐ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲡ“ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲨᲔᲣᲐᲠᲝᲡ.

ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣ „ᲠᲘᲡᲙᲡ“ ᲓᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲘᲗᲑᲗ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ „ᲛᲝᲔᲒᲔᲑᲐ“ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ, „ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲐᲠᲐᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲕᲐ. ᲐᲘᲦᲔᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ. ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲛᲒᲐᲘᲡᲜᲓᲑᲝᲚᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐᲛ“ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲔᲚᲘᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗᲝᲗᲐᲪ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲜᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ

ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲑᲝᲜᲝᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, Ბ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲐᲪᲐᲚᲙᲔᲕᲔᲑᲡ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲘᲡ“ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝ „ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲗᲒᲝᲑᲐ“ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲗ ᲘᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲘᲦᲔᲑᲓᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲔᲓ ᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲘᲡᲜᲓᲑᲝᲚᲐᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲜᲝᲡ. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲠᲝ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲗ „ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ“, „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲪ“ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲔᲚᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗᲝᲗᲐᲪ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲜᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ

ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ, ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲒᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲐ: ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲘᲣᲓᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ. ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲦᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲓᲔᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ...

ᲔᲡ ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ „Წ.-Კ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲬᲚᲘᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔ ᲓᲐᲔᲢᲧᲝ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲔᲠᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠ ᲛᲘᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲮᲔᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲛᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲛ? ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲛ“ ᲡᲐᲛᲘᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲥᲘᲜᲐ ᲓᲐᲪᲐ: ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲕᲐ ᲐᲥᲕᲗ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ“ ᲓᲐᲦᲣᲞᲝᲜ; ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐᲗ ᲨᲔᲓᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲕᲔ ᲮᲔᲚᲗ ᲘᲒᲓᲝᲜᲝᲡ. „ᲪᲜ. ᲤᲒ.“ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲐ: ᲩᲐᲒᲐᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲧᲠᲘᲚᲐᲜ ᲘᲥ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲛᲔᲝᲠᲔᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲜᲝ. ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲠᲝ. „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲘᲗ „ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ“, „ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘᲪ“ ᲕᲘᲗᲝᲛ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲒᲣᲚᲣᲑᲠᲧᲔᲚᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲜᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲗᲝᲗᲐᲪ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲓᲔᲜᲝ, ᲗᲣᲛᲪᲐ

ამავე დროს ბევრი უიმედოთ აქნევდენ თავს... გაიხსნა წლევანდელი კრებაც და აკი ჩვენმა გაზეთებმა წინანდელი კრამანჭული გააბეს! „ივერიამ“ *) გამოაცხადა: ზოგიერთ წევრებს შურის ძიება ალაპარაკებთ; მათ განზრახვა ქონდათ კავკავის სკოლა დაეღუპათ, მარა წესდებამ იხსნა (?) იგიო. „ცნობის ფურცლის“ სიტყვით კი **) კრებაზე აღძრული კამათი იყო გამგეობის წინააღმდეგ ლაპარაკი მხოლოთ იმიტომ, რომ იგი გამგეობაა», სხვა არაფერი. გამოდის, „საზოგადოების“ წევრებს რაღაც გასაკიცხი მიზანი ქონიათ სახეში; ისინი პირადი ანგარიშებით და შურის ძიებით ყოფილან გატაცებულნი და არა საქმის სიყვარულით. მერე საიდან გამოყავთ გაზეთებს ასეთი დასკვნა, რა საბუთი აქვთ ხელში, რომ ასეთ მძიმე ბრალსა დებენ კაცს? შეიძლება გაზეთს ვისიმე აზრი არ მოეწონოს, შეცდარათაც მიიჩნიოს იგი, მაგრამ რა უფლება აქვს მოპირდაპირეს ამ შემთხვევაში უთუოთ ცუდი განზრახვა დაწამოს, უკიჟინოს, შენ ასე იმიტომ ლაპარაკობ, რომ საქვეყნო საქმის დაღუპვა გწადიანო. დამეთანხმებით, რომ ეს ცილის წამებას, ჭორს და ბეზღებას უფრო გავს, ვიდრე სინიდისიერ, ლოღიკურ მსჯელობას. ერთი სიტყვით, ვინც „ივერია“-„ცნობის ფურცლის“ აზრისა და შეხედულობის წინააღმდეგია, ვისაც ამ გაზეთებისაგან შემოწმებული ატესტატი არა აქვს, იგი უთუოთ ქვეყნის მტერი და მოღალატე ავაზაკია. საიდამდის მიიყვანს თურმე ზოგიერთებს საკუთარი გულის ქავილი და სხვისი დამცირების სურვილი! სწორედ თავმომაბეზრებელია ამისთანა დელიყანდების ქცევა: ისე ფეხს ვერ გადადგამ, სიტყვას ვერ იტყვი, რომ არ დაგიწყონ უტიფრათ კბილის კრეჭა: შენ ეს გინდოდა, ის განზრახვა გქონდა... რა ღირსებისაა ერთობ „ივერია“-„ცნობის ფურცლის“ ანგარიში კრების შესახებ, ამას ღირსეულათ მხოლოთ ის დააფასებს, ვისაც სინიდისიერი მსჯელობა შეუძლია. თუ ანგარიშის დაბეჭდვა საჭიროა, უნდა იბეჭდებოდეს ის მიუდგომლათ. აქ რაღას ვხედავთ? ჩაფუჩეჩება, ან სრულიათ შეცვლა და გადასხვაფერება იმის, რაც ზოგიერთებს არ ეპიტნავებათ. მაგალითებსაც მოგახსენებთ: გამგეობას უსაყვედურეს, რომ ის არ აქცევს საჭირო ყურადღებას სკოლების რევიზიას, არავინ იცის, როგორ არის დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე ზოგიერთ სკოლებში. გამგეობამ ასე „იმართლა თავი“: სკოლების რევიზია არ მოხერხდა იმ მიზეზით, რომ გამგეობის პედაგოგ წევრებს სწავლის დროს არ ეცალათ, სამსახურის მოვალეობას ვერ ულალატებდენ და როდესაც აქ განთავისუფლდებოდენ, მაშინ ჩვენ სკოლებშიაც ითხოვდენ მოსწავლეებსაო. რადგან გამგეობის მიერ დასახელებული მიზეზი მუდამ იქნება, ამიტომ მოსალოდნელია, რომ სკოლების რევიზია შემდეგშიაც ან სულ არ მოხდეს, ან ძალიან იშვიათათ. გამგეობის თავის მართლება უსაბუთოთ იცნეს და განაცხადეს, რომ რევიზია შეიძლება შობის ან აღდგომის უქმეებშიაც მოხდესო; შეიძლება მასწავლებელი წინდაწინ გააფრთხილონ, რომ მან მოწაფეები დაიბაროს დანიშნულ დღესო. სკოლის უყურადღებოთ დატოვებას ეს აჯობებსო. ეს შენიშვნა, ცოტა არ იყოს; გამგეობის დაუდევრობას ახასიათებს და ჩვენმა გაზეთებმაც მიჩქმალეს... აღნიშნეს და დაამტკიცეს, რომ გამგეობა ვერავითარ მხნეობას ვერ იჩენს მატერიალურ ღონის ძიების მოსაპოებლათ: ვერც საწევრო ფულის შეკრება, ვერც წიგნებით ვაჭრობა და ვერც ფოტოგრაფიის საქმე, რომელსაც გამგეობის განცხადებით საანგარიშო წელს მაინც ცოტაოდენი ხეირი უნდა მოეტანა „საზოგადოებისთვის“ და მის მაგივრათ ზარალი კი მისცა, ვერც ერთი ეს საქმე ვერ არის რიგიანათ მოწყობილი და გაწესრიგებული. ამის შესახებაც გაზეთებმა ხმა გაიკმინდეს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. [illegible] ბის დაცვისა და მისი უსიამოვნო პირების გა[illegible] რვილის იმდენათ დაუბრმავებია „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი, რომ მას, თუმცა ის ვერ შეუნიშნავს, რაც კრებაზე ხდებოდა, მაგრამ, სამაგიეროთ, სწორედ ის გაუგონია, რაც იქ არავის უთქვამს: წიგნების გამოცემის საქმეს არავინ შეხებია, ბძანებს „ც. ფ.“ არ ვიცი, რათ, მოიყრუა ყური გაზეთის თანამშრომელმა, როდესაც ამ საგანზე იმდენს ლაპარაკობდენ, გამგეობას ინიციატივა აკლიაო და ურჩევდენ ხალხისთვის სასარგებლო წიგნების გამოცემას. „ცნ. ფურ.“ ირონიულათ შენიშნავს: ოპოზიციას სურს ჩვენი სკოლებისთვის რევიზორი, რომელსაც ჯამაგირათ 450 მ. უნიშნავსო. არ ვიცით, საიდან მოიგონა ეს თანამშრომელმა. თუ ვეღარ გაიგონა, ეკითხა მაინც და გაიგებდა, რომ რევიზორისთვის 900 მ. ამბობდენ.

კრებაზე აღნიშნეს, რომ ჩვენი მასწავლებლის მდგომარეობა ვერ არის სასურველი. მოიყვანეს იმის მაგალითები - და ეს ვერავინ ვერ უარყო - რომ გამგეობის შეცდომით უსამართლოთ დასჯილ მასწავლებელს საშუალება არა აქვს თავი დაიცვას. ასეთი მდგომარეობა ნორმალური არაა — ეს ცხადია და რომ ამ სენს წამალი უნდა — ესეც ცხადია. ხოლო რა სახის და ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს წამალი — ამის შესახებ მსჯელობა კრების საქმე იყო. მაგრამ ისევ ჩვენს გაზეთებს მიუბრუნდეთ. იმდენ მიუდგომელობას აბა საიდან გამოიჩენდენ ჩვენი გაზეთები, რომ სხვისა აზრი სისწორით და დაუმახინჯებლათ მოეყვანათ. წინადადება შეიტანესო, ამბობს „ცნობის ფურც.“: „დაევალოს გამგეობას წარმოუდგინოს საზოგადო კრების ყველა ის საბუთები და მოსაზრება, რომლის ძალით იგი ამა თუ იქ მასწავლებელს დაითხოვს, რათა მასწავლებელს შეეძლოს თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე“. „ივერიაშიაც“ ამ გვარათვე მოყვანილი ეს წინადადება. ნამდვილათ კი მოხსენებაში იყო ნათქვამი: „უფლება მიეცეს უკმაყოფილო მასწავლებელს, რომელიც დათხოვნილ იქნება გამგეობისაგან, მიმართოს წლიურ კრებას და იქ განასაჩივროს გამგეობის დადგენილება, თავი იმართლოს საზოგადოების წინაშე და გამგეობაც ვალდებული იყოს წარმოუდგინოს კრებას მოხსენება დასათხოვ მასწავლებლის შესახებ“. განსხვავება აშკარაა და შთაბეჭდილებაც სხვა-და-სხვა გვარი. „ცნობის ფურცლის“ გადმოცემით ისე გამოდის, თითქო გამგეობას ავალებდენ, რაკი მასწავლებელს დაითხოვ, უსათუოთ წარმოადგინე მოხსენება ამის შესახებ, სულ ერთია ისურვებს ამას ის მასწავლებელი, თუ არაო. მოხსენებიდან კი ნათლათ ჩანს, რომ კრება მხოლოთ იმ შემთხვევაში განიხილავს დათხოვნილ მასწავლებლის საქმეს, როდესაც ამას თვით მასწავლებელი მოისურვებს; თუ იგი მიმართავს კრებას, მაშინ გამგეობაც ვალდებული გახდეს წარმოადგინოს თავისი საბუთები. აღნიშნავს რა ამ წინადადების „უცნაურობას“, გაზეთი დაძენს: „კრებას რომ მოსამართლის უფლება ქონდეს ჯერ არავის სმენია, აქ გამგეობა ბრალდებული გამოდის, მასწავლებელი — ბრალმდებელიო“. კრებაზეც ბევრი სიტყვა დაიხარჯა იმის შესახებ, ვითომც კრების მიერ მასწავლებლის საჩივრის განხილვა ბრალდებულათ ხდიდეს გამგეობას; ეს ხომ გამგეობის შეურაცხყოფა, უნდობლობის გამოცხადებააო, მჭევრმეტყველურათ გაიძახოდენ ზოგიერთები. ეს ყოვლად შეცდარი და შეუწყნარებელი აზრია. ასე კითხვის დაყენება შეუძლებელია; ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლოების მდგომარეობაც უხერხული იქნებოდა. ვთქვათ სამოსამართლო პალატამ გაარჩია რომელიმე საქმე და სრულიათ გააუქმა ოლქის სასამართლოს გარჩენი. ნუ [illegible]

*) № 105, წერილი ქალაქელისა „კრების სახე“.

**) № 1821, მეთაური წერილი, რომელშიაც გაზეთი უსუსურობას, უნიადაგობას უკიჟინებს ოპოზიციას. „ც. ფ.“ რომ სხვას უშინაარსობას და უსუსურობას წამებდეს-სწორედ ცეცხლია. ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო-ეს არის.

თუ ამ შემთხვევაში სასამართლო „ბრალდებული“ და „შეურაცხყოფილია“. ნუ თუ ეს „უნდობლობის“ გამოცხადებას ნიშნავს? განა ამით სასამართლოს ავტორიტეტი ირღვევა? სულაც არა. არავითარ „ბრალდებას“ და „შეურაცხყოფას“ აქ ალაგი არა აქვს. ჩვენი გამგეობაც სწორეთ იმ სასამართლოს მდგომარეობაში იქნება, რომლის დანარჩენსაც უმაღლესი ინსტანცია არღვევს. ასეთი წესი ყველგან არის, რომ საზოგადოება მოიწონებს ან არ მოიწონებს ვისიმე მოქმედებას და განა საზოგადო კრებაც ასე არ იქცევა, როდესაც იგი გამგეობის ანგარიშს იხილავს? მასწავლებლის შესახებაც ასე იქნება. მას უეჭველათ უნდა ქონდეს ის უფლება, რაც საზოგადოთ ყოველ ადამიანს აქვს მინიჭებული.

„საზოგადოების“ სკოლებში სამსახური ამისთანა მასწავლებელს მაინც აღარ შეეძლება, თუნდა კიდეც გაამართლოს იგი კრებამ, რადგან ეს მოუხერხებელი ხდება. სამაგიეროთ, გამართლებულ მასწავლებელს შეიძლება მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებამ შეძლებისამებრ და ესეც რომ არ იყოს, მასწავლებელი ზნეობრივათ დაკმაყოფილებული მაინც რჩება. ვთქვათ, უდანიშაულო მასწავლებელი კრებამაც (უმრავლესობამ) გაამტყუნა; უმცირესობის სიმპატია ხომ მაინც მისკენ იქნება და შეურაცხყოფილ კაცისათვის ამასაც დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა ექნება...

უცნობი.

საქველმოქმედო მიზნით გამართული სალამო ქუთაისში.

კერძო პირთა შორის დასახმარებელ მიზნით ფულების მოგროვება და ამავე მიზნით საღამო-კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა—აი ის ორი უმთავრესი წყარო რომლითაც იკვებება დღევანდელი ჩვენი ქველმოქმედება. რამდენათაც უნაყოფო, არა სასურველი და ხშირათ-სისტემატიური ცარცვა-გლეჯაა პირველი, იმდენათ სიმპატიური, ნაყოფიერი და სასიამოვნოა მეორე. და ეს იმიტომ, რომ პირველს მეთაურობს კერძო პირი ხშირათ საკუთარი ჯიბის ინტერესებით გატაცებული, საზოგადოებრივ კონტროლსა და კრიტიკას მოკლებული,—მეორეს კი-საზოგადოება, ორგანიზაცია. პირველი ჯურის ქველმოქმედება მხოლოთ სინდისის გასწმენდი მოწყალებაა, ან და სირცხვილისთვის უარის უთქმელობა; ამგვარ ქველმოქმედს აინტერესებს არა ესა თუ ის მიზანი, რომლისათვისაც გროვდება შეწირულება, არამედ შესაწირავის მბოჭავ მანდილი სიმპატია ანტიპატია. ასეთი დახმარება=დაუხმარებლობას. მეორე კი მიმართულია ყველასათვის წინ და წინვე თვალსაჩინო მიზნისაკენ, რომელსაც-წინააღმდეგ პირველისა-თან ახლავს საზოგადოების მხრით კონტროლი და კრიტიკა. ამგვარი ქველმოქმედება თითქმის, არც კი ჩაითვლება ქველმოქმედებათ, ვინაიდგან თითოეული კერძო პირი, რომელიც ესწრება ზემოხსენებულ მიზნით გამართულ სადამოებს, გადებულ ხარჯში სამაგიეროს იღებს სიამოვნების სახით. ქველ მოქმედნი აქ მხოლოთ ორგანიზატორები-რავდენიმე პირი. ამგვარი სახის ქველმოქმედება სიმპატიურია, ამგვარი მიზნით გამართული სადამოები სასარგებლო და სინდისიერია.

ასეთი ხასიათის იყო სწორეთ 23 მაისს კონცერტ-წარმოდგენა სათავად-აზნაურო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ გამართული. სიმპატიურმა მაზანმა, შინაარსიანმა პიესა-სიმღერებმა და ჩვენი სცენის დამამშვენებელთა ნ. ჩხეიძისა და ვ. მესხიშვილის მონაწილეობამ დიდძალ საზოგადოებას მოუყარა თავი, თეატრში ტევა აღარ იყო; აგერ-აგერ პარტერში ჩვენი სამშობლოს „ბურჯთა“ ცხვირებიც კი ბრწყინვალებდა, რაც ასე იშვიათ მოვლენას შეადგენს. მთელი თეატრი მოუთმენლათ ელოდა ფარდის ახდას და საყვარელ მსახიობ ქალის თამაშს, რომელიც ეს ერთი წელიწადია ავათმყოფობის გამო არამც თუ სცენას, თეატრსაც მოშორებული იყო. მაგრამ „კრეჩინსკის ქორწინებაში“, რომელსაც

იმ დღეს თამაშობდენ, ნიჭიერ მსახიობს თითქმის სათამაშო არაფე- რი ქონდა და თავის გამოსვლით მარტო სცენას ამშვენებდა. ქალი როლი მხოლოთ სცენაზე გავლა-გამოვლით, ორი-სამ ... ვდება. მთელი პიესის სულის ჩამდგმელი კრეჩინსკ... მოჭრილი მოჩხილი, უხმო რასპლიუევია. კრეჩინსკი ეს ჩვენი დრო- ის მეორე ხარისხოვანი ჩიჩიკოვია, რომელსაც თავის მოქმედები ასპარეზი სოფლიდან ქალაქში გადაუტანია, მემამულეთა ოჯახებ კლუბებში და კაფეშანტანებში გაუცვლია, რომელიც ცხოვრობს ის როგორც მის მდგომარეობაში მეოფს ადამიანს შეშვენის; ჭამს დ სვამს ზომაზე მეტს, როდესაც ბედი გაუღიმებს და დიდ პარტი ებს იგებს კარტში—მშიერია, როდესაც ბედი არ წყალობს; მაგრა გარეგნობით მას ვერ შეატყობთ, ვერც სიღარიბეს, ვერც შიმშილს თავის თავს სიმბირსკის გუბერნიის მემამულეს უწოდებს, სადაც 150 სული გლეხი ყავს და მთელი მაზრა მას ეკუთვნის. გარემოების მი ხედვით ისიც იცვლება, ე. ი. კილოს იცვლის, ის უკანასკნელ მო დაზეა ჩაცმული და თავის მოქნილი ენის წყალობით კუჭის საზრ დოსაც მალე პოულობს და დიდხანს არ უხდება მშიერათ ყოფნა. ი აგებს ქსელს ოჯახებში, კლუბებში, აქ ამას ატყუებს, იქ იმას მოხერხებულათ ატყუებს ჩარჩებსაც კი და ყალბ ნივთის დაგირა ვებით ათასობით ფულებს შოულობს. დღეს რომ მოწყენილია, კუჭ აწუხებს, კაპეიკი არა აქვს—ხვალ ფულის პატრონი ხდება და ნამ დვილ არტისტიულ სიამაყეს გრძნობს—ასეთია კრეჩინსკი და დი სეულათაც შეასრულა ეს როლი თვილისელმა არტისტმა - სვიმონი ძემ. მან ბევრათ უფრო კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლე ბზე, ვიდრე ვასო აბაშიძემ, რომელიც ამას წინათ გამოვიდა ამავ როლში ჩვენ სცენაზე საწყალი რასპლიუევი—ყურმოჭრილი მონა სორჩილია კრეჩინსკისა. კარტის თამაში—აი მისი ხელობა, ტრაქ ტირი—აი მისი თავშესაფარი. აბა, რასპლიუევ, გაშლი კარტი წაი თამაშე, ფულები მოიგე და მოიტანე—ეუბნება კრეჩინსკი,—ისიც მი დის, მასაც ხან გაუღიმებს ბედი, ხან არა. და ვაი მისი ბრალი, თუ შინ ხელ-ცარიელი დაბრუნდა, მას შედგებიან ზურგზე ხან ბატონ და ხანაც მისი მოსამსახურე თედორე—მას ცემენ შინ, ცემენ ტრა ქტირებში, ქუჩაზე, მაგრამ ის ხმის ამოუღებლათ ითმენს ყოველსა ფერს—მხოლოთ ხანდიხან ითვლის, თუ რამდენჯერ მიზილეს და ში. მას ცემენ ბოქსით და ის კი ინგლისელებს უსაყვედურებს, როგორ იქნა და ისეთმა განათლებულმა ხალხმა ბოქსი მოიგონესო ის თანაუგრძნობს თავის ბატონს; მისი არაფისაგან გაყვითლებულ და მახინჯი პირის სახე წამ და უწუმ იცვლება; უხარია ბატონთა ერთათ, წერს მასთან ერთათ. და ვერ წარმოიდგენთ, როგორ აღტა- ცებასა გრძნობს იმ წამებში, როდესაც კარტის თამაშში ბედი გაუ ღიმებს და ფულებს იგებს. ის სიხარულით დედა-მიწაზე აღარ არის როდესაც მისი ბატონი—კრეჩინსკი ყალბი ქინძისთავის დაგირავე ბით ათასობით ქალაღდის ფულებს შოულობს და შინ მოაქვს. კრე ჩინსკიმ იცის მისი ერთგულება, ენდობა მას და აძლევს ფულებ დასათვლელათ. ისიც გაგიჟებით კოცნის შეკრულ ას-ასიანებს, ეალერ სება, სიხარულისაგან ცრემლები გადმოდის თვალებიდან, თვლას ვე ახერხებს. ის საწყალი, უხმო ადამიანი—ამ წამებში სიამაყესა დ ძლიერებასა გრძნობს—ასეთია რასპლიუევი. მაგრამ ის გაცილები შეუდარებელი, სწორეთ აუწერელია მესხიშვილში, რომელიც ასრუ- ლებდა იმ დღეს ამ როლს. არტისტი, რომელიც ორ მოპირდაპირ პოლიუსებს სულიერ მდგომარეობისას, მისწრაფებისას ერთ არსება ში აერთებს, არტისტი, რომელიც ადამიანის უმწერვალეს თავმოყ ვარეობის გამომხატველ ტიპების—ფრანც მოორის და ჰამლეტის— ამსრულებელი, რასპლიუევამდი ჩამოვა და შეუდარებლათ შეასრულებს სწორეთ ნამდვილი ნიჭი უნდა იყოს. ჩვეულებრივი მსახიობი რასპ ლიუევის როლში ან სიცილს გამოიწვევდა, ან სიბრალულს, ორივე ერთათ კი არა. მაგრამ როდესაც მესხიშვილში უყურებთ რასპლიუ ვეს, ჯერ ცრემლები მოგადგებათ თვალებში და მერმე გაცინებთ დ ნიჭიც აქა ჩანს სწორეთ. ორი სურათი განსაკუთრებით როდესა რასპლიუევი ფულებს ითვლის და კრეჩინსკი სასიმამროსთან ერთა

ჩაის სვამს, სწორეთ შეუდარებელი, აუწერელია.

დანარჩენ მოთამაშეთა შორის აღსანიშნავია ბ. რობაქიძე—მეურომსკის როლში, რომელმაც შედარებით კარგათ ითამაშა გულუბრყვილო სოფლელი მემამულე. მაგრამ ბ. აბაკელიას სცენაზე გამოსვლას არ ვურჩევთ: მისი ხმა და მიხვრა-მოხვრა სწორეთ სმენის მადას უკარგავს მაყურებელს.

კარგათ ჩაიარა კონცერტმა და სალიტერატურო განყოფილებამაც. ქალთა და ვაჟთა ხორომ ბ. სირაძის დირიჟორობით და ე. ქიქოძის აკომპანიმენტით იმღერეს „აღზდეგ გმირთ გმირო“, „баю бой“, „აჴა მზეო“ და „юность вальсъ“. ეს განგებ ამორჩეული სიმღერები ერთობ უკეთ ჩაიარდა, რომ პირველი ხმები არ კლებოდა ხოროს. ბ. თუთბერიძემ იმღერა მ. ბალანჩივაძის რომანსი „შენ გეტრფი მარად“. არტისტს ხმა თუმცა ნაზი და ტკბილი აქვს, მაგრამ ეტის მეტათ სუსტი, ასე რომ თეატრის ბალკონზე თითქმის მ ძლივს ისმოდა. ბ. ყარამურზამ გრძნობიერათ წაიკითხა ბენედიკტოვის შინაარსიანი ლექსი: „входъ воспрещается“. დასასრულს ვ. ბალანჩივაძემ წაიკითხა სცენები იმერეთის ცხოვრებიდან მაყურებლები სიცილით დახოცა. საერთოთ საღამომ კარგათ ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა შინ. სწორეთ სასიამოვნოა, რომ ხშირათ გაიმართებოდეს ასეთი საღამოები. დამსწრე ერთსა და იმავე დროს ორ კურდღელს იჭერს—პირათ სიამოვნებასაც იღებს და კეთილ საქმესაც ეხმარება.

Parole.

დავ. კლდიაშვილის მოთხრობანი.

სხვა და სხვა აზრთა შორის საზოგადოებისა და მისი ზრდაგანვითარების შესახებ მკითხველი შეხვდება ორ აზრს, რომლებიც ერთი მეორის სრული წინააღმდეგია; პირველი ამბობს: საზოგადოებრივი ცხოვრება იგივე ბრძოლაა არსებობისათვის, იმგვარი ბრძოლა, როგორც საერთოთ ბუნებაში მეფობსო; მეორე კი ამტკიცებს: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა, ალაგმაა არსებობისათვის ბრძოლისო. რა თვალითაც უნდა უყურებდეს მკითხველი საზოგადოებას, ერთი გარემოება ყველასათვის აშკარაა: საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა ადამიანის პიროვნების, ადამიანის გრძნობებს, ადამიანის მიდრეკილებათ საზოგადოებაში არა აქვს ბუნებრივი თავისუფლება დათმობილი და სწორეთ ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი კარგი თვისება; ადამიანში ეგოისტური, საპიროვნო ინსტინქტები ჯერ იმდენათ ჭარბობენ ალტრუისტულ, სოციალურ ინსტიქტებს, რომ თუ საზოგადოება არ შეზღუდავს პირველი ინსტიქტების ბუნებრივ მსვლელობასა და განვითარებას, მაშინ არავითარი გონივრული აზრი აღარ ექნება თვით საზოგადოებრივ ცხოვრებასაც, რომლის ერთათ ერთი მიზანია, უზრუნველჰყოს, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, მისი პიროვნება და უფლებანი თუმცა ამგვარათ საზოგადოებრივი ცხოვრება შეზღუდვაა ადამიანის პიროვნების და ამით შეზღუდვაა თვით არსებობისათვის ბრძოლისაც, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოებაში არსებისათვის ბრძოლას ალაგი აღარ ჰქონდეს; არსებობისათვის ბრძოლა საზოგადოების ერთ ნიშნობლივ მხარეს შეადგენს; როგორც ბუნებაში ისე საზოგადოებაშიაც ბრძოლა ორგვარია: ბრძოლა საზოგადოებისა ბუნებასთან და ბრძოლა საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილთა შორის. ხოლო ეს ბრძოლა ბუნებრივ ბრძოლისაგან მით განირჩევა, რომ მეორე მოკლებულია რთულ და მოსაზრებულ ორგანიზაციას, თვით საზოგადოებაში კი არსებობისათვის ბრძოლამ რთული ორგანიზაცია მიიღო. მაშინ როდესაც ბუნებრივ პირობებთან ბრძოლით ერთიანათ მთელი საზოგადოება იცავს თავისთავს აუმჯობესებს თავისი ცხოვრების პირობებს, ბრძოლას საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილს შუა სრულებით სხვა მიზანი აქვს. სხვა და სხვა ნაწილი საზოგადოებისა რომ ყველა ერთნაირის უფლებით იყოს აღჭურვილი, უპირატესობა არც ერთს არ ეკუთვნოდეს და მხოლოდ უმრავლესობა აწარმოებდეს ყოველისფერს და არა უმცირესობა, მაშინ მეორეგვარ ბრძოლას საზოგადოებაში ალაგი არ ექნებოდა. მაგრამ ყოველგვარ საზოგადოებაში მთელიანობა დარღვეულია, უფლებითი ერთგვარობა უარყოფილია და ერთი ნაწილის ბედნიერება მეორე ნაწილს გახდომია საზიდავ ტვირთათ. ამიტომ ყოველი თვითოეული ნაწილი საზოგადოებისა ან მისთვის იბრძვის, რომ თავისი უპირატესობანი დაიცვას და ბატონობა შეირჩინოს, თუ ბატონია,—ან მისთვის იბრძვის, რომ უფლებანი მოიპოვოს, თუ მათ მოკლებულია და მონობის უღლიდან თავი განითავისუფლოს.

ბატონყმური წყობილება როგორც ყოველგან, ისე ჩვენშიც წარმოადგენდა განსაზღვრულ ორგანიზაციას კლასთა შორის ბრძოლისას. ერთის მხრივ ბატონი და მეორე მხრით ყმა ორ სხვა და სხვა კლასს ეკუთვნოდენ; ბატონი მთელი თავისი სიმძიმით ყმას აწვა კისერზე, ყმა ბატონის სრულს კუთვნილებას შეადგენდა, ბატონის ხელთ იყო მისი ბედილბალი და, თუ მას ხშირათ კარგ მეძებარში ან მიმინოში გაცვლიდა ბატონი და მოგლეჯდა ოჯახს, ამაში ჩვენი წარსულის მოტრფიალენი მარტით-მარტო მამობრივ მზრუნველობას ხედავენ! ბატონი და ყმა იმდენათ განირჩეოდენ ერთი-მეორისაგან უფლება-უპირატესობით, რამდენათაც სხვა და სხვა ეკონომიურ პირობებში იყო მოქცეული თვითოეული მათგანის ცხოვრება. ნატურალური წარმოების დროს ყველაზე მეტი მნიშვნელობა მიწას ჰქონდა; მიწა კი ერთიანათ ბატონის ხელში იყო; ქონებრივათ ბატონი ყმაზე გაცილებით მაღლა იდგა და ქონებრივი უპირატესობით შეიძინა მან მეტი მნიშვნელობა, უფლებანი და ძალა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ყმა კი ღატაკი იყო ქონებით და ამიტომ უფლებებითაც სრულს არარაობას წარმოადგენდა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ის არ იყო განკერძოვებული პიროვნება, არამედ ნივთი-ღირებულება, ყმა და მიწა წარმოადგენდენ ორ მთავარ ბოძს, რომლებზედაც დამკვიდრებული იყო ბატონის ძლიერება. ბატონი მარტო მით კი არ იყო ძლიერი, რომ ის მიწის პატრონი იყო, არამედ უმთავრესათ მით, რომ მას ყავდა ყმა. ცხოვრება მარტივი იყო, მოთხოვნილებანი ერთფეროვანი, ღვინო და პური ასრულებდა ფულის დანიშნულებას, ორივეს ამას კი ყმა აძლევდა ბატონს. წაართვით ბატონს მიწა და ყმა და ამით წაერთმევა მას განსაკუთრებული უფრო-უპირატესობანი ცხოვრებაში. სწორეთ ასეთი მტრობა გაუწია ბატონს კაპიტალისტურმა ხანამ: ბატონს ჩამოერთვა ყმა, მიწის ძალა და მნიშვნელობა ფულმა დაისაკუთრა და ძველი ბატონის ალაგას ფულის პატრონი გაბატონდა. ბატონი და ყმა წარმოიშვენ ნატურალური წარმოების ნიადაგზე. ნატურალური წარმოების გარეშე მათ არ შეეძლოთ თავისი სახე შეერჩინათ; კაპიტალისტურმა წარმოებამ კი მოითხოვა ახალი ურთიერთობა საზოგადოების წევრთა შორის, მისთვის საჭიროა თავისუფალი ფიზიკური ძალა და ამიტომ ის უარჰყოფს ყმას; მისთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოთ ფულს და არა მიწას; ამიტომ ის უარჰყოფს მიწის პატრონს. და პირველობას აძლევს ფულის პატრონს. ჩვენი ბელეტრისტიკა თავად-აზნაურობის შესახებ გადაჭრილ პასუხს იძლევა: თანამედროვე ბელეტრისტთა შორის ერთი საუკეთესო ალაგი უჭირავს ბ-ნ დ. კლდიაშვილს. სხვა ღირსებათა შორის მასა აქვს ერთი დიდი ღირსებაც: მისი ნაწერები სახელოვნო ჭეშმარიტებაა, უტყუარი სარკეა ჩვენი ცხოვრებისა. თითქმის არც ერთ ჩვენს ახალგაზრდა ბელეტრისტს არ ეხერხება ჩვენი ცხოვრების სურათების დახატვა იმდენათ უტენდენციოთ და მარტივათ, როგორც

ბ. კლდიაშვილს. ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს წარმოადგენენ „სამანიშვილის დედინაცვალი“ და “სოლომონ მორბეალძე“, რომლებიც ახლა ცალკე წიგნაკათ გამოვიდენ, ბ. კლდიაშვილი გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე მაშინათვე რეალურ გზას დაადგა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ რეალური მიმართულება საუკეთესო გზა იყოს სიტყვაკაზმული მწერლობისათვის: საუკეთესო მიმართულება ყოველგვარ მოღვაწეობაში ის არის, რომელიც უკეთ ემსახურება თანამედროვე ცხოვრებას. ადვილი შესაძლებელია, ხელოვნებამ სულ მალე უარყოს რეალიზმი, მაგრამ არის ისეთი ხანა, როდესაც ბელეტრისტი უმთავრესათ პუბლიცისტი უნდა იყოს და სწორეთ ასეთ ხანაშია რეალური მიმართულება უფრო დროის შესაფერი და ნაყოფიერი. ასეთ ხანაში გამოვიდა კლდიაშვილი მწერლობაში. ყველა გრძნობდა და ამჩნევდა, რომ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდებოდა, ძველი განწყობილება ირღვეოდა, მაგრამ ეს ცვლილება ყველას თავისებურათ ესმოდა: ვინც ძველით კმაყოფილი იყო, ის გაიძახოდა, ძველი საზოგადოებრივი განწყობილება უცვლელათ დარჩებაო; ვინც ახლისაკენ უფრო მიისწრაფოდა, ის ამტკიცებდა,— ყოველივე ძველი უნდა დაირღვესო. მაშინ როდესაც საუკეთესო არგუმენტათ ცხოვრების დაკვირვება და მისი პირუთვნელათ შესწავლა კი არ იყო აღიარებული, არამედ ლანძღვა-გინება და პიროვნების დამცირება (სამწუხაროთ ეს დღესაც ასეა ჩვენში), ბ. კლდიაშვილმა, ცხოვრების შესწავლა აირჩია თავის მიზნათ და წოდებათი ბედ-იღბალის გამორკვევა თვისი ხელოვნების საგნათ. უმთავრესი ყურადღება კლდიაშვილს თავად-აზნაურობისაკენ აქვს მიქცეული. პირველ თავის მოთხრობებში მან აშკარათ აღიარა: თავად-აზნაურობის ცხოვრების შესწავლა. მან დაამთავრა „ქამუშაძის გაჭირვებით, სადაც მან გამოთქვა თავისი უკანასკნელი აზრი და დაკვირვება: თავად-აზნაურობა გაპროლეტარიატების გზაზე არის შემდგარიო.

ი. გომართელი.

(დასასრული იქნება)

წერილი რედაქციისმიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! სხვა-და-სხვა, ჩვენგან დამოუკიდებელ, მიზეზების გამო იძულებული ვარ უმორჩილესათ გთხოვოთ შესწვიტოთ ჩემის მოთხრობის „მქრთს ადსარების“ ბეჭდვა.

ია ეკალაძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ-წერეთლისა.

განცხადებანი.

სასწავლებელი და პანსიონი.

ა. მამულაიშვილისა.

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცდა (переэкзаменовки)

ვერა, სლეპცოვის ქუჩა, № 13. ზემმელის აფთექის მახლობლათ.

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21)

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი – ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., სამშაბ. ხუთშაბ. და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგ. სამშ. და ხუთშ. 10—11.

ნ. ა. მუღინი—ყურის, ყელისა და ცხვირისა, 11—12.

ი. ჯ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—12.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა, შინაგ. და წამლობა ელექტრონით 12—1.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ს. ა. ვოინო—ქირურგიული, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.

გ. მ. ამბარდახოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1—2.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი – დედათა სნეულებანი, 5—6.

მ. გ. იანჩევსკი – ყურის, ყელის და ცხვირის 5—6, კვირაობით 12—1.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მოგებით.

(წლ.).

გაზეთი „ივერია“,

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებათ „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი, იაკობ სვიმონის ძე, გძელიშვილი, გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე, ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაზერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქივანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძინს არა ნაკლებ ათი პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.